


შემსწავლელის

გრამატიკა

ნატა დავითაშვილი



ქართული როგორც უცხო ენა
GEORGIAN AS A FOREIGN LANGUAGE



შემსწავლელის გრამატიკა (ნაწილი I) მომზადდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

ავტორი — ნატა დავითაშვილი

რედაქტორი — მარიკა ოძელი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი – მარიკა ოძელი

© საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახი“

ქართული ენის გრამატიკის სირთულეების გამო შემსწავლელებს არაერთი პრობლემა ექმნებათ. ქართულის, როგორც უცხო ენის, შემსწავლელთა საჭიროების გამოვლენის შედეგად გამოიკვეთა შემსწავლელზე ორიენტირებული გრამატიკის სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა. ამ მიზნით შეიქმნა შემსწავლელის გრამატიკა, რომელიც ვებგვერდზე წარმოდგენილ სხვა სასწავლო მასალებთან თავსებადია და მათი ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას იძლევა.

სახელმძღვანელოში თეორიული განმარტებები მოკლედ და მარტივადაა გადმოცემული. ძირითადი ყურადღება პრაქტიკულ მაგალითებზეა გადატანილი. ამგვარი სახელმძღვანელო შემსწავლელს გაუადვილებს ქართული ენის რთული გრამატიკული სისტემისა თუ მისი ცალკეული კატეგორიების აღქმას, გაგებას, გაცნობიერებას და ათვისებას; მიღებული ცოდნის შემოწმებასა და განმტკიცებაში კი ხელს შეუწყობს ყოველი თავის ბოლოს მოცემული სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები.

შემსწავლელის გრამატიკა აგებულია ისეთი პრინციპით, რომ ქართული ენის შემსწავლელმა კონკრეტული ნიმუშების საფუძველზე გააცნობიეროს სხვადასხვა ენობრივი საშუალება და შეძლოს მისი პრაქტიკული გამოყენება.

შინაარსი

იდენტიფიკაცია	3
იდენტიფიკაცია პირის ნაცვალსახელებით (მე, შენ, ის / ჩვენ, თქვენ, ისინი)	3
იდენტიფიკაცია – პროფესიის დასახელება	4
იდენტიფიკაცია – ასაკის გამოხატვა	5
კითხვები იდენტიფიცირების დროს	6
იდენტიფიკაცია ნაცვალსახელებით – ეს, ის	9
მხოლოდითი და მრავლობითი	10
სულიერი და უსულო	14
კითხვები: ვინ და რა	15
ხმოვანზე და თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები	17
სახელის შვიდი სხვადასხვა ფორმა და მათი ნიშნები	18
ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები	18
ფუნქციები	20
კითხვები: ვინ, რა სხვადასხვა ბრუნვაში და პასუხი	31
კუთვნილების გამოხატვა	33
კუთვნილების გამოხატვა კუთვნილებითი ნაცვალსახელებით	33
კუთვნილების გამოხატვა ნათესაობის სახელებით	33
საკუთარი სახელით გამოხატული კუთვნილება	34
რიცხვითი სახელი	36
რაოდენობის ჩვენება	36
რიგის ჩვენება	39
ნაწილის ჩვენება	40
საგნის თვისების გამოხატვა (მედსართავი სახელი)	42
მედსართავი სახელის ხარისხის ფორმები	42
საგნის თვისების გამოხატვა სიტყვებით – უფრო... ვიდრე და ყველაზე	43
ორი სახელის ერთად ბრუნება	45

თვისების გამოხატვა შედგენილი სახელებით	47
სადაურობა / წარმომავლობა	51
დანიშნულების სახელები - სა- ღ / სა-ე პრეფიქსები (ვილაცისთვის / რალაცისთვის განკუთვნილი)	52
თანდებულები და მათი ფუნქცია	54
-ში და -ზე თანდებულები	54
-იდან / -თან თანდებული	55
-დან / -მდე / -ამდე თანდებული	55
შესახებ თანდებული	56
-თვის თანდებული	56
გამო თანდებული	56
ადგილმდებარეობის გამოხატვა	58
დროის მითითება	60
დროის მითითება ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვებით	60
დროის მითითება საათის დაზუსტებით	60
დროის მითითება: დღე, თვე, წელიწადის დრო	62
დროის მითითება დროის გამომხატველი სიტყვებით	63
მოქმედების დახასიათება	65
მაჟვს, მყავს	66
ზმნა	68
ზმნა და რიცხვი (მხოლოდობითი და მრავლობითი)	68
ზმნა და დრო	70
სუბიექტი (S) და ობიექტი (O)	72
სუბიექტი (S)	72
ობიექტი (O)	75
ვარ, ხარ, არის – ზმნის წარსულისა და მომავლის ფორმები	78
რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + ვართ / ხართ / არიან	80
სახელი + ზმნა	81
ბოგიერთი ზმნა	82
უნდა ზმნა	86
აქტიური ზმნები და პასიური ზმნები	90

ზმნისწინი მოქმედებისა და მიმართულების გამოხატვა	92
ზმნისწინი და დრო (წარსული და მომავალი)	95
რთული სიტყვები	98
კავშირი	101
სხვადასხვა ემოციის გამომხატველი ბგერები, სიტყვები	104
დამხმარე ბგერები/მარცვლები / სიტყვები	105
უარყოფითი და დადებითი პასუხები დამხმარე მარცვლების / სიტყვების გამოყენებით	106
შეკითხვის ფორმულირება – ხომ და არა – დამხმარე სიტყვების გამოყენებით	106
არ – მოქმედების, მდგომარეობის, ფაქტის უარყოფა	107
უარყოფითი შინაარსის გამოხატვა – არ და ვერ	107
ნების დართვა და აკრძალვა: კი, არ, ნუ	107
ზოგიერთი დამხმარე ბგერა / მარცვალი / სიტყვა	109
ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები	111
მისალმების და დამშვიდობების გამომხატველი სიტყვები	111
მიმართვა სიტყვების – ქალბატონი / ბატონი – გამოყენებით	112
გაცნობის ფორმულები	112
მოკითხვის ფორმულირება	113
მიმართვა თავაზიანი ფრაზით: თუ შეიძლება	113
ზმნები / თავაზიანი მიმართვის ფორმები	113
დახმარების საპასუხო სიტყვები და ფრაზები	114
მიპატიჟების საპასუხო სიტყვები და ფრაზები	114
არაფრის - პასუხი მადლობაზე	114
მილოცვის ფორმულირება	114
სხვადასხვა ემოციის გამომხატველი სიტყვები	115
არასწორი საქციელის შემდეგ პატიების მიზნით ნათქვამი სიტყვები – ბოდიში, მაპატიე	115

ილენტიფიკაცია პირის ნაცვალსახელებით (მე, შენ, ის / ჩვენ, თქვენ, ისინი)

პირი	პირის ნაცვალსახელი მხოლოდითი რიცხვი	პირის ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვი
I	მე	ჩვენ
II	შენ	თქვენ
III	ის	ისინი

ჩვენ = მე + შენ; მე + ის; მე + შენ + ის
ჩვენ = მე + თქვენ; მე + ისინი; მე + თქვენ + ისინი
თქვენ = შენ + ის; შენ + ისინი

მხოლოდითი რიცხვი

მე (I პირი) ვარ – პიროვნება საუბრობს საკუთარ თავზე
შენ (II პირი) ხარ – პიროვნება მიმართავს მეორე ადამიანს, რომელსაც ესაუბრება
ის (III პირი) არის – პიროვნება საუბრობს სხვა ადამიანზე

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ (I პირი) ვართ – პიროვნება საუბრობს საკუთარ თავსა და სხვებზე
თქვენ (II პირი) ხართ – პიროვნება მიმართავს სხვა ადამიანებს
ისინი (III პირი) არიან – პიროვნება საუბრობს სხვა ადამიანებზე

! **თქვენ** ნაცვალსახელს მეორე პირის მრავლობითი რიცხვის გარდა ვიყენებთ თავაზიანი მიმართვის დროს. თქვენობითი ფორმით შეიძლება მიმართოთ ერთ პირსაც.

ანა, თქვენ სად მუშაობთ? – მე სამშენებლო კომპანიაში ვმუშაობ.
ბატონო გიორგი, თქვენ დაბრძანდით და ექიმიც ახლავე მოვა.
ჩარლზ, თქვენ საუბრობთ ქართულად? – დიახ, მაგრამ თავისუფლად საუბარი მიჭირს.

- გამარჯობა, სილამაზის სალონია?
- გამარჯობა, დიახ, თქვენ ვინ ბრძანდებით?
- მე თქვენი კლიენტი ვარ, თმის შეჭრა მინდა. რომელ საათზე მოვიდე?
- თქვენ შეგიძლიათ მობრძანდეთ 5 საათზე.
- დიდი მადლობა.

მხოლოებითი რიცხვი (ერთი ადამიანი)		
პირი	პირის ნაცვალსახელი	ზმნა
I	მე	ვარ
II	შენ	ხარ
III	ის	არის

მრავლობითი რიცხვი (ორი და ორზე მეტი ადამიანი)		
პირი	პირის ნაცვალსახელი	ზმნა
I	ჩვენ	ვართ
II	თქვენ	ხართ
III	ისინი	არიან

პირის ნაცვალსახელი + ზმნა

მე ვარ დავითი. მე ვარ მენეჯერი.
 შენ ხარ ნინო. შენ ხარ სტუდენტი.
 ის არის ნიკი / ის ნიკია. ის არის ინჟინერი / ის ინჟინერია.
 მე და დედა ყოველ შაბათს დავდივართ კინოში. / ჩვენ ყოველ შაბათს
 დავდივართ კინოში.
 შენ და დიტო უნივერსიტეტის შემდეგ სახლში ხართ? / თქვენ უნივერსიტეტის
 შემდეგ სახლში ხართ?
 ის არის დარი. ის არის ნია. ის არის თემო / ის დარია. ის ნიაა. ის თემოა. ისინი
 მეგობრები არიან.

იდენტიფიკაცია – პროფესიის დასახელება

მე ვარ ექიმი.
 შენ ხარ მასწავლებელი.
 ის არის კონსულტანტი / ის კონსულტანტია.
 ნინო არის უნივერსიტეტის პროფესორი / ნინო უნივერსიტეტის პროფესორია.
 ჯეკი არის ექიმი / ჯეკი ექიმია.
 იანი არის მუსიკოსი / იანი მუსიკოსია.

მხოლოდ მესამე პირთან (ის არის) შეიძლება შემოკლება:

ის } არის პროფესორი = პროფესორია
 } არის ექიმი = ექიმია
 } არის მუსიკოსი = მუსიკოსია

იდენტიფიკაცია – ასაკის გამოხატვა

მე სკოლაში ვსწავლობ და 15 წლის ვარ.
 გიორგი, შენ 39 წლის ხარ?
 დედაჩემი დაიბადა 1977 წლის 18 ივნისს. ის არის 44 წლის / ის 44 წლისაა.
 ლაშა არის 19 წლის / ლაშა 19 წლისაა.
 ნანა არის 18 წლის / ნინო 18 წლისაა.
 სარა 77 წლისაა. ის დაიბადა 1960 წელს, 20 მაისს.

I	მე ვარ ----- წლის	პიროვნება საუბრობს საკუთარ თავზე
II	შენ ხარ ----- წლის	პიროვნება მიმართავს მეორე ადამიანს, რომელსაც ესაუბრება
III	ის არის ----- წლის	პიროვნება საუბრობს სხვა ადამიანზე

მხოლოდ მესამე პირში შეიძლება:

ნინო 67 წლის არის = ნინო 67 წლისაა.
 მე ვარ თომა. მე ვარ 20 წლის. მე ვარ სტომატოლოგი.
 შენ ხარ თამარი. შენ ხარ 32 წლის. შენ ხარ მზარეული.
 ის არის დიტო. ის არის 16 წლის / ის 16 წლისაა. ის არის მოსწავლე / ის მოსწავლეა.
 მაია არის 24 წლის / მაია 24 წლისაა. მაია არის ექიმი / მაია ექიმია.

პირი	პირის ნაცვალსახელი	ზმნა
I	მე	ვარ
II	შენ	ხარ
III	ის	არის

მე **ვარ** თინა. მე ვარ 13 წლის. მე ვარ მოსწავლე. მე ვსწავლობ სკოლაში.
 მე ვცხოვრობ ბათუმში.

შენ **ხარ** გია. შენ ხარ 30 წლის. შენ ხარ მომღერალი. შენ მუშაობ ბარში.
 შენ ცხოვრობ თბილისში.

ის **არის** ის არის სტელა / ის სტელაა. ის არის 75 წლის/ის 75 წლისაა. ის არის პენსიონერი / ის პენსიონერია. ის არ მუშაობს. ის ცხოვრობს ოქსფორდში.

ჩვენ **ვართ** კლასელები. ჩვენ ვართ 17 წლის. ჩვენ ვსწავლობთ სკოლაში.
 ჩვენ ვცხოვრობთ ბერლინში.

თქვენ **ხართ** თანამშრომლები. თქვენ ხართ პროფესორები. თქვენ მუშაობთ უნივერსიტეტში. თქვენ ცხოვრობთ თავისუფლების მოედანზე.

ისინი **არიან** მეგობრები. ისინი მუშაობენ ბანკში. ისინი არიან მოლარეები. ისინი ცხოვრობენ პარიზში.

პირი	ნაცვალსახელი მხ. რიცხვი	ზმნა მხ. რიცხვი
I	მე	ვარ
II	შენ	ხარ
III	ის	არის
პირი	ნაცვალსახელი მრ. რიცხვი	ზმნა მრ. რიცხვი
I	ჩვენ	ვართ
II	თქვენ	ხართ
III	ისინი	არიან

პირი	ნაცვალსახელი მხ. რიცხვი	ზმნა მხ. რიცხვი
I	მე	ვსწავლობ / ვმუშაობ / ვცხოვრობ
II	შენ	სწავლობ / მუშაობ / ცხოვრობ
III	ის	სწავლობს / მუშაობს / ცხოვრობს
პირი	ნაცვალსახელი მრ. რიცხვი	ზმნა მრ. რიცხვი
I	ჩვენ	ვსწავლობთ / ვმუშაობთ / ვცხოვრობთ
II	თქვენ	სწავლობთ / მუშაობთ / ცხოვრობთ
III	ისინი	სწავლობენ / მუშაობენ / ცხოვრობენ

კითხვები იდენტიფიცირების დროს

კითხვითი ნაცვალსახელები: ვინ? რამდენი? სად?

ვინ ხარ შენ? – მე ვარ ნელი.

ვინ არის ის? – ის არის ბატონი ჯიმი.

ვინ ხართ თქვენ? – ჩვენ ვართ სტუდენტები.

ვინ არიან ისინი?	– ისინი არიან ლიკას მშობლები.
რამდენი წლის ხარ, დეა?	– მე ვარ 25 წლის / 25 წლის ვარ.
ნიკა, თქვენ სად მუშაობთ?	– მე ვმუშაობ მაკდონალდსში.
რამდენი წლის არის ბობი / რამდენი წლის არის ის?	– ბობი არის 13 წლის / ბობი 13 წლისაა / ის არის 13 წლის / ის 13 წლისაა.
სად სწავლობ შენ?	– მე ვსწავლობ კოლეჯში.
სად სწავლობ, ნია?	– მე ვსწავლობ უნივერსიტეტში.
სად ცხოვრობ შენ?	– მე ვცხოვრობ დიდუბეში.
სად ცხოვრობ საბა?	– მე ვცხოვრობ ამერიკაში.
სად მუშაობ შენ?	– მე ვმუშაობ საავადმყოფოში.
სად მუშაობ, მერი?	– მე ვმუშაობ თეატრში.
სად სწავლობს გურამი / სად სწავლობს ის ?	– გურამი სწავლობს სკოლაში / ის სწავლობს სკოლაში.
სად მუშაობს ტომი / სად მუშაობს ის?	– ტომი მუშაობს ბანკში/ის მუშაობს ბანკში.
სად ცხოვრობს სერგი / სად ცხოვრობს ის?	– სერგი ცხოვრობს უკრაინაში / ის ცხოვრობს უკრაინაში.

სავარჯიშო:

1 ჩასვით პირის ნაცვალსახელები (მე , შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი)

1. არის ნინას დეიდა.
2. ვარ ნიკის და.
3. ეზოში თამაშობენ.
4. სად სწავლობ?
5. ღვინის ექსპერტები ვართ.
6. რა პროფესიის ხარ?
7. ვარ დიზაინერი.
8. დედა გემრიელ საჭმელებს ამზადებს. დიასახლისია.
9. სახლში არიან?
10. გოგონებო, რომელ კომპანიაში მუშაობთ?
11. კარგი ფოტოგრაფია.
12. ჩემი და მასწავლებელია. ფიზიკას ასწავლის სკოლაში.

13. ბათუმში ცხოვრობენ.
14. და ლელა თანამშრომლები ვართ.
15. და დიტო მეზობლები ხართ.
16. ვმუშაობ კლინიკაში.
17. სად ცხოვრობ?
18. ვცხოვრობთ ავსტრიაში.
19. სწავლობენ კემბრიჯში.
20. ჯონ და თინა, აკადემიაში მუშაობთ?

2 წინადადებებში ჩასვით შესაბამისი ზმნა (ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან)

1. ბებია და ბაბუა სოფელში
2. თეა, შენ რამდენი წლის
3. ნატა ბიბლიოთეკარი.
4. მე კარგი მოცეკვავე
5. ისინი ლონდონში
6. ნანა და ლევან, თქვენ სპორტსმენები..... ?
7. ჩვენ ახლა რუსთაველზე
8. ის ინგლისელი ჟურნალისტი
9. მე და ჯონი კლასელები
10. თინა, შენ ინდოეთში
11. მე 28 წლის
12. რამდენი წლის არის თემო? – თემო 45 წლის.

3 გახაზეთ, რომელ წინადადებაში არის **თქვენ** ნაცვალსახელი თავაზიანი ფორმით:

1. თქვენ მოდიხართ, ქალბატონო მარიამ, თეატრში?
2. ბავშვებო, თქვენ რამდენი დღე დაისვენებთ?
3. ლიკა და ბურა, თქვენ კონფერენცია სად გაქვთ?
4. ბატონო ილია, თქვენ აქ დაბრძანდით!
5. ჯონ, თქვენ უნივერსიტეტის პროფესორი ხართ?
6. ვანო და მარი, თქვენ აქ დარჩით.
7. გამარჯობა, ტომ, როგორ ხართ? – გმადლობთ, კარგად, თქვენ როგორ ბრძანდებით?

**4 ტექსტში გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით ზმნები და ნაცვალსახელები სწორი ფორმით:
(მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი, ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან)**



მე ნინა შავიძე. მე დავიბადე 2001 წლის 5 ივლისს. მე ვარ ტურისტული სააგენტოს დირექტორი და ვცხოვრობ ძველ თბილისში. ჩემი მეგობარი ალექსი არქიტექტორი. მუშაობს მერიაში. ალექსი ცხოვრობს ვაკეში. ნათია ალექსის მენეჯერი. 37 წლის არის. ლია ჭავჭავაძის არის მსახიობი. მე, ალექსი და ლია მეგობრები. გვიყვარს ლუდი. ყოველ შაბათს მივდივართ ბარში და ვსვამთ ლუდს. ჩვენი მეგობრები ანა და დავითი. სწავლობენ ბიზნესს და არიან კურსელები. ანა 25 წლის, დავითი კი – 26 წლის.

5 დაუსვით კითხვა (ვინ? სად? რამდენი?) ხაზგასმულ სიტყვებს:


1. ელენეს დედა არის სტომატოლოგი.
2. მე ხშირად ვსვამ რძეს სალამოს.
3. გიორგი არის თორმეტი წლის.
4. ელენეს ჰყავს ხუთი შვილიშვილი.
5. გიორგი სწავლობს უნივერსიტეტში.
6. ჩემი ძმა არის იურისტი.
7. ლიკა ცხოვრობს რუსთაველზე.

**იდენტიფიკაცია ნაცვალსახელებით – ეს, ის
მიითება ამა თუ იმ კიროვნებაზე / საგანზე**



ეს არის = ესაა

ის არის გიორგი / ის არის მანქანა
ისაა გიორგი / ისაა მანქანა



ის არის = ისაა

ეს არის ნინო / ეს არის მაგიდა
ესაა ნინო / ესაა მაგიდა

ის – ვინც ან რაც არის იქ

ეს – ვინც ან რაც არის აქ

ეს არის ლუკა / ეს ლუკაა / ესაა ლუკა.
 ის არის ლილი / ის ლილია / ისაა ლილე.
 აი, კალამი / ეს არის კალამი / ეს კალამია.
 აი, ოფისი / ეს არის ოფისი / ეს ოფისია / ესაა ოფისი.
 ეს არის თბილისი / ეს თბილისია / ესაა თბილისი.
 ის არის თეატრი / ის თეატრია / ისაა თეატრი.
 ის არის რვეული / ის რვეულია / ისაა რვეული.

მხოლობითი და მრავლობითი

მოსწავლე ბავშვი
 მანქანა ძალი ხე
 დმა პალტო
 უთო მენიუ სკამი



მოსწავლე**ები** ბავშვ**ები**
 მანქან**ები** ძალ**ები** ხე**ები**
 უთო**ები** ძმ**ები** პალტო**ები**
 მენიუ**ები** სკამ**ები**



ერთი



მოსწავლე
 ძმა
 ბავშვი
 მენიუ
 ძალი
 სკამი
 უთო
 მანქანა
 პალტო
 ხე

მხოლობითი რიცხვი


ორი, სამი, ოთხი, ათი და ბევრი



მოსწავლე**ები**
 ძმ**ები**
 ბავშვ**ები**
 მენიუ**ები**
 ძალ**ები**
 სკამ**ები**
 უთო**ები**
 მანქან**ები**
 პალტო**ები**
 ხე**ები**

მრავლობითი რიცხვი

მოსწავლე
 ძმ~~ა~~
 ბავშვ~~ი~~
 მენიუ
 ძალ~~ი~~
 სკამ~~ი~~
 უთო
 მანქან~~ა~~
 პალტო
 ხე



მოსწავლე + ებ - ი
 ძმ + ებ - ი
 ბავშვ + ებ - ი
 მენიუ + ებ - ი
 ძალ + ებ - ი
 სკამ + ებ - ი
 უთო + ებ - ი
 მანქან + ებ - ი
 პალტო + ებ - ი
 ხე + ებ - ი

სავარჯიშო:

1 გამოთვლებულ ადგილას ხაზგასმული სიტყვები დაწერეთ მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში:

1. გიორგიმ შვილები სახლში წაიყვანა.
გიორგიმ სახლში წაიყვანა.
2. დარჩიმ დანა მაგიდიდან აიღო.
დარჩიმ მაგიდიდან აიღო.
3. ნინოს კაბები მომწონს.
ნინოს მომწონს.
4. ეს სურათი ძალიან მომწონს.
ეს ძალიან მომწონს.
5. ბიჭები მიდიან ბანკში.
..... მიდის ბანკში.
6. გემი არის ზღვაში.
..... არის ზღვაში.
7. ეს მლაშე ტბა არის.
ესენი მლაშე არის.
8. ჩემი კაბები გრძელია.
ჩემი გრძელია.
9. ის გოგონა ჭკვიანი არის.
ის ჭკვიანები არიან.
10. საქართველოს ქალაქები არის: ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, თელავი და სხვა.
საქართველოს არის ქუთაისი.
11. მთელი დღე სერიალს ვუყურებ.
მთელი სერიალს ვუყურებ.
12. ჩვენი ებო ძალიან ლამაზი არის.
ჩვენი ძალიან ლამაზი არის.

13. კედელზე მინდა თარო გავაკეთო.
კედელზე მინდა გავაკეთო.
14. თვეები გაგრძელდა ეს ამბავი.
ერთი გაგრძელდა ეს ამბავი.
15. ჩემი კატა ეზოში არის.
ჩემი ეზოში არიან.
16. ჩინური კაფე ქუჩის ბოლოშია.
ჩინური ქუჩის ბოლოშია.
17. ჩვენ კარგი ექიმები გვყავს.
ჩვენ კარგი გვყავს.
18. ლილემ ფოტოები გადამიღო.
ლილემ გადამიღო.
19. ავტობუსის მძღოლი ჩემი მეგობარია.
ავტობუსის ჩემი მეგობრები არიან.
20. გუშინ სავარჯიშო ვერ დავწერე.
გუშინ ვერ დავწერე.

არ აქვს მრავლობითი რიცხვი

ადამიანის სახელები

ანა — ~~ანები~~
გიორგი — ~~გიორგები~~
ჯონი — ~~ჯონები~~
თინა — ~~თინები~~

ქვეყნების, ქალაქების, მდინარეების, ტბების სახელები

საქართველო — ~~საქართველოები~~
გერმანია — ~~გერმანიები~~
ირანი — ~~ირანები~~
ბათუმი — ~~ბათუმები~~
პარიზი — ~~პარიზები~~
ბარსელონა — ~~ბარსელონები~~
თბილისი — ~~თბილისები~~
მტკვარი — ~~მტკვარები~~
ნილოსი — ~~ნილოსები~~
ხუანხე — ~~ხუანხეები~~
სენა — ~~სენები~~

წელიწადის დროები

ზამთარი — ~~ზამთრები~~
ზაფხული — ~~ზაფხულები~~
შემოდგომა — ~~შემოდგომები~~
გაზაფხული — ~~გაზაფხულები~~

კვირის დღეები

ორშაბათი — ~~ორშაბათები~~
ხუთშაბათი — ~~ხუთშაბათები~~
კვირა — ~~კვირები~~

სიტყვა

წყალი — ~~წყლები~~
რძე — ~~რძეები~~
ზეთი — ~~ზეთები~~
ღვინო — ~~ღვინოები~~
არაყი — ~~არაყები~~

თოვლი — ~~თოვლები~~
წვიმა — ~~წვიმები~~

თვის სახელწოდებები

იანვარი — ~~იანვრები~~
მაისი — ~~მაისები~~
აგვისტო — ~~აგვისტოები~~
ნოემბერი — ~~ნოემბრები~~

ფერები

წითელი — ~~წითლები~~
შავი — ~~შავები~~
ლურჯი — ~~ლურჯები~~
თეთრი — ~~თეთრები~~

წყალი მხოლოდით რიცხვში გვხვდება ძირითადად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სიტყვა წყალი დგას მრავლობით რიცხვში — წყლები. მაგალითად: მინერალური წყლები

სულიერი და უსულო

ადამიანები, ცხოველები, ფრინველები — სულიერი
ნივთები, ფლორა, ტექნიკა, ტრანსპორტი — უსულო

უსულო

მაგიდა
მანქანა
გაზქურა
ყვავილი
გემი
საწოლი
ტელეფონი
კომპიუტერი
სკამი
ველოსიპედი
ხე
ჭიქა
კალამი
ტელევიზორი...

სულიერი

კაცი
ჩიტი
კატა
დელფინი
ბატი
ძმა
ბავშვი
მამალი
ცხენი
ქალი
ძროხა
მასწავლებელი
მენეჯერი
შვილი
ძალი...

სულიერი (სახელი) + ზმნა

მხოლოდითი + მხოლოდითი

ბავშვი თამაშობს.
მასწავლებელი წერს.
ძალი გარბის.
ჩიტი დაფრინავს.

მრავლობითი + მრავლობითი

ბავშვები თამაშობენ.
მასწავლებლები წერენ.
ძალები გარბიან.
ჩიტები დაფრინავენ.

უსულო (სახელი) + ზმნა

მხოლოდითი + მხოლოდითი

ეზოში მაგიდა დგას.
ეს არის გაზქურა.
ალუბლის ხე გაიზარდა.

მრავლობითი + მხოლოდითი

ეზოში მაგიდები დგას.
ესენი არის გაზქურები.
ალუბლის ხეები გაიზარდა.

კითხვები: ვინ, რა

დედა	გიორგი	სკამი	კარაქი	კაბა	ბებია	კაცი
სალათა	რძე	სტუდენტი		ძალი	მასწავლებელი	
მანქანა	უნივერსიტეტი	კატა	ძმა	ღვინო	ლორი	
ქალი	სამშაბათი	ქათამი	სალომე	პური	მეგობრობა	

ვინ?

დედა
გიორგი
ბებია
კაცი
მასწავლებელი
სტუდენტი
ძმა
ქალი
სალომე

! ვინ დაესმის მხოლოდ ადამიანებს

რა?

სკამი
კარაქი
კაბა
სალათა
რძე
მანქანა
ძალი
უნივერსიტეტი
ღვინო
ლორი
სამშაბათი
ქათამი
პური
მეგობრობა

! რა დაესმის ადამიანის გარდა ყველა სულიერსა და უსულოს

სავარჯიშო:

1 ხაზგასმულ სიტყვებს დაუსვით კითხვები – ვინ ან რა

1. ნიკს ახალი ველოსიპედი ჰყავს.

2. ქართველმა კაცმა ღვინის დამზადება დიდი ხნის წინ დაიწყო.

3. ლილის სამი კატა ჰყავს.

4. გიორგის ძალიან უყვარს ლუდი.

5. ჩემი და მეშვიდე კლასშია.

6. ჩვენ ბედნიერი ბავშვობა გვქონდა.

7. დავითი კარგად მღერის.

8. ბებიას სოფელში სამი ძროხა ჰყავს.

9. ამ ფილიალის მენეჯერი ჭკვიანი გოგოა.

10. ჩემი მეგობარი ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლობს.

11. ჩვენი სუპერმარკეტის პირველ სართულზე იყიდება თევზი და ბოსტნეული.

12. დილით, ყოველთვის, თაკლ ამზადებს საუზმეს.

13. ანანასი არის ტროპიკული ხილი.

14. იანვარი წელიწადის პირველი თვეა.

15. ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს.

ხმოვანზე და თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები


ხმოვანები

ა ე ი ო უ

თანხმოვანები


ბ გ მ ზ ტ
ლ დ მ ზ ჭ
ქ რ თ ჟ ნ ლ ყ
შ ო ს
წ ხ ც კ
ჭ ჩ ჭ კ ძ

მაგიდა, კიბე, კუ, გოგო



-ზე დაბოლოებული სახელები არის ხმოვანდუდიანი სახელები

ბავშვ-ი, აფთიაქ-ი, კომპიუტერ-ი, ხელ-ი



-ზე დაბოლოებული სახელების **უმეტესობა** არის თანხმოვანდუდიანი სახელები, **ი** - სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

ი -ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელი არის ხმოვანდუდიანი: ტაქსი, ლედი, დიჯეი, ჩაი

სავარჯიშო:

1 დააჯგუფეთ შემდეგი სიტყვები:

ამბავი ბებია ბუნება გოგო ტყე ეზო დედა მსახიობი ფოტო
ხე წიგნი კინო მაცივარი მზე მდინარე მენიუ კაფე მეტრო მეფე
მთა მინდორი კაბა მოედანი მუზეუმი უთო ავეჯი დათვი მანქანა
ქალაქი დრო ძმა დღე ვიზა სადილი რძე რუკა სავარჯიშო

ხმოვანდუდიანი სახელები

თანხმოვანდუდიანი სახელები

ბრუნვა და ბრუნვის ნიშნები

ბრუნვა	ნიშანი	სიტყვა
სახელობითი	— , -ი	მაგიდა, უთო, მზე, ბავშვ-ი
მოთხრობითი	-მ, -მა	ელენე-მ, გოგონა-მ, ბავშვ-მა, მასწავლებელ-მა
მიცემითი	-ს	დარი-ს, ბიჭ-ს, ხე-ს, მუსიკა-ს
ნათესაობითი	-ის,	კაც-ის, პალტო-ს, ხ-ის, ძმ-ის
მოქმედებითი	--ით, -თი	ჩანგლ-ით, კოვზ-ით, ტყ-ით, ზღვ-ით უთო-თი
ვითარებითი	-დ, -ად	სამარილე-დ, მენეჯერ-ად, ექიმ-ად
წოდებითი	ო, —	ბიჭ-ო, გურამ, ნანი

სახელობითი

ბავშვი წერს წერილს.
 ეს არის **მაგიდა**.
 იქ დევს **უთო**.
მზე ანათებს და ცხელა.

მოთხრობითი

ბავშვმა დაალაგა სახლი.
ელენემ რამდენიმე ენა იცის.
გოგონამ წაიკითხა ლექსი.
მასწავლებელმა გაკვეთილი ჩაატარა.

მიცემითი

დარის არუქეს წიგნი.
ბიჭს თავი სტკივა.
ხეს წყალი დავუსხი.
 გია წყნარ **მუსიკას** უსმენს.

ნათესაობითი

თვა ამ **კაცის** ცოლია.
 ეს ჩემი **პალტოს** ღილია.
 ეს მაგიდა არის **ხის**.
 შენი **ძმის** ოფისი რუსთაველზეა?

მოქმედებითი

ზოგ სატემელს ჩანგლით ვჭამთ, ზოგს - კოვზით.
ცისფერი კაბა უთოთი დავწვი.
ეს ადგილი ტყით არის დაფარული.
საქართველო შავი ზღვით უკავშირდება შავიზღვისპირა ქვეყნებს.

ვითარებითი

ლადო ოფისში მენეჯერად მუშაობს.
მომწონს ეს, სამარილედ კარგია.
ექიმად მუშაობა ადვილი არ არის.

წოდებითი


ბიჭო, არ გესმის, რომ გეძახი?
ნანი, როგორ ხარ?
გურამ, იყიდე ეს მშვენიერი სახლი!

ქარი მოვარდა,
ქარმა მომაგნო,
ქარს გავეკიდე,
ქარის ბრალია,
ქარით დაღლილი,
ქარად ვიქცევი,
ქარო, როდემდის ვიქნები ასე?



წვიმა მოვიდა,
წვიმამ მომისწრო,
წვიმას წავყვები,
წვიმის წილი ვარ,
წვიმით ავივსე,
წვიმად ვიქცევი,
წვიმაგ, როდემდის ვიქნები ასე?

მზე ამოვიდა,
მზემ გამაბრუნა,
მზეს შევეფარე,
მზის იმედი მაქვს,
მზით გავთამამდი,
მზედ მივინდა ვიქცე,
მზეო, ნურასდროს ნუ წახვალ ჩემგან!



(ოთარ ჭილაძის ლექსი – „სექტემბერი“)

ფუნქციები

სახელობითი ბრუნვა
-ი, 0

გამოიყენება საგნის დასახელების, საგნის აღნიშვნის დროს

ნინი მალალი და ლამაზი გოგოა.
ეს **სახლი** გიორგისია.
ბავშვი მიდის სკოლაში.
ჩემი **მანქანა** დგას ეზოში.

მოთხრობითი ბრუნვა
-მ, -მა

სახელი (მოთხრობითი ბრუნვა) +
ზმნა წარსულ დროში (დასრულებული მოქმედება)

თინამ ჭურჭელი დარეცხა.
დილას **მამამ** საუზმე მოამზადა.
გუშინ **ბავშვმა** კონცერტზე იმღერა.

მიცემითი ბრუნვა
-ს

მოქმედების დროის
მითითება (თარიღი)

ორშაბათს, ხუთშაბათს,
კვირას...

შაბათ-კვირას

თბილისში არ ვიქნებით.
10 **იანვარს** არის ჩემი
დაბადების დღე.
პარასკევს წავალთ
თეატრში.
26 **სექტემბერს** არის
ენების ევროპული დღე.

კონკრეტული დროის
მითითება

ახალ წელს.
გიორგობას.
აღდგომას.
მარიამობას.

ახალ წელს აკეთებენ
გობინაყს.
აღდგომას აცხობენ
პასკას.

დროის გამომხატველი
სიტყვები
დროის (საათის)
მითითება

ათს აკლია თხუთმეტი
წუთი და ნინო ჯერ არ
მოსულა.

ნათესაობითი ბრუნვა

კუთვნილების გამოხატვა

**საკუთარი
სახელებით:**
ეს გიორგის
წიგნია. ის
დავითის სახლია.
ეს ანას ოთახია.
ეს **ლუკას**
კომპიუტერია.

**„-ის / -ს“ ნიშნების
დართვით:**
ეს ჩემი **მეგობრის**
სახლია.
ამ **ბეჭდის** თვალი
ლამაზია.
ეს ჩანთა ჩვენი
სტუმრისაა.

**მასალის
გამოხატვა:**
ეს სახლის არის
ხის / ქვის / აგურის.
ჩვენს სახლს აქვს
რკინის კარი.
გიორგიმ **ოქროს**
ბეჭედი მაჩუქა.

ასაკის გამოხატვა:
თამარი არის
ოცი წლის.
ნათია **თხუთმეტი**
წლისაა.
გურამი არის
ოცდაათი წლისა.

დროის მითითება

საათის მითითება:
ახლა **ათის**
ნახევარია.
რვის ნახევარზე
მოვალ სახლში.

**თარიღის
მითითება:**
კვირის, თვის,
წლის დასაწყისში
/კვირის, თვის,
წლის ბოლოს

თვისების გამოხატვა

**პროფესიის, საქმიანობის სფეროს
ნიუანსით:**
ნინო **სკოლის მოსწავლეა**.
დალი **სკოლის დირექტორია**.
დარი **უნივერსიტეტის ლექტორია**.

**მოქმედებითი ბრუნვა
-ით**

**დროის გამოხატვა /
დროის მონაკვეთის მითითება**
დილ~~ს~~ + ით / ლამ~~ს~~ + ით
დილით / ლამით

დილით ყავას ვსვამ.
ზამთარში **ლამით** ძალიან ცივა.
ერთი **კვირით** მივდივარ
ესპანეთში.

**მოქმედების შესასრულებელი
ინსტრუმენტის დასახელება**

ჩანგლით ვჭამთ საჭმელს.
გიორგი **ტაქსით** წავიდა სახლში.
გიგა, პატარა **ჭიქით** დალიე
ღვინო.

**ვითარებითი ბრუნვა
-დ, -ად**

**პროფესიის, საქმიანობის
სფეროს გამოხატვა**
(მასწავლებლ-ად,
დირექტორ-ად, მუშა-დ...)

სკოლაში **მასწავლებლად**
ვმუშაობ.
გიორგი ბანკში **მენეჯერად**
მუშაობს.

**ვინმესთვის / რაიმისთვის
სხვა სახის / ფორმის მიცემა**

ძალიან ცხელა და ყინული
წყლად გადაიქცა.
თამარი ყოველთვის მეხმარება,
ის ჩემს **მეგობრად** მიმაჩნია.

**წოდებითი ბრუნვა
-ო, -გ, -**

მიმართვის ფორმა

ქალბატონო, გამომართვით ხურდა, 2 ლარი.
მეპურეგ, ერთ თონის პური მომეცი.
ლაშა, ჩამოდი დაბლა.
თეა, გთხოვ, იმღერე.

როცა სახელი ბოლოვდება **მ**-ზე, მაშინ მოთხრობით ბრუნვაში იწერება **ორი მ**.

მოთხრობითი ბრუნვა

სკა**მ**-~~ს~~ + მა = სკა**მმა**
გურა**მ**-~~ს~~ + მა = გურა**მმა**

გე**მ**-~~ს~~ + მა = გე**მმა**
კალა**მ**-~~ს~~ + მა = კალა**მმა**

როცა სახლი ბოლოვდება **ს**-ზე, მაშინ მიცემით ბრუნვაში იწერება ორი **ს**.

მიცემითი ბრუნვა

თბილი~~ს-ჯ~~ + ს = თბილის**სს**
 ივნი~~ს-ჯ~~ + ს = ივნის**სს**

ავტობუ~~ს-ჯ~~ + ს = ავტობუ**სს**
 ფა~~ს-ჯ~~ + ს = ფა**სს**

როცა სახლი ბოლოვდება **ია**-ზე, მაშინ ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში იწერება ორი **ი**.

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვები

ბიოლოგ~~იჯ~~ + ის = ბიოლოგ**იის** / ბიოლოგ**იით**
 აუდიტორ~~იჯ~~ + ის = აუდიტორ**იის** / აუდიტორ**იით**
 იტალ~~იჯ~~ + ის = იტალ**იის** / იტალ**იით**
 გერმან~~იჯ~~ + ის = გერმან**იის** / გერმან**იით**

აბრუნეთ სიტყვები

სახელობითი	ნივთი	ქათამი	ქუთაისი	მეცნიერი	ისტორია
მოთხრობითი					
მიცემითი					
ნათესაობითი					
მოქმედებითი					
ვითარებითი					
წოდებითი					

ა / ე / ო / უ -ზე დაბოლოებული სახელები

მხოლოდითი

როცა სიტყვები ბოლოვდება **ა / ე** -ზე, ხმოვნები ~~ჯ / ჯ~~ დაიკარგება ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში.

სახელობითი	მაგიდა	მთა	დღე	ხე
მოთხრობითი	მაგიდა-მ	მთა-მ	დღე-მ	ხე-მ
მიცემითი	მაგიდა-ს	მთა-ს	დღე-ს	ხე-ს
ნათესაობითი	მაგიდ ჯ-ის	მთ ჯ-ის	დღ ჯ-ის	ხე ჯ-ის
მოქმედებითი	მაგიდ ჯ-ით	მთ ჯ-ით	დღ ჯ-ით	ხე ჯ-ით
ვითარებითი	მაგიდა-დ	მთა-დ	დღე-დ	ხე-დ
წოდებითი	მაგიდა-ვ	მთა-ვ	დღე-ვ	ხე-ვ

მრავლობითი

სახელობითი	მაგიდ ა -ებ-ი	მთ ა -ებ-ი	დღე-ებ-ი	ხე-ებ-ი
მოთხრობითი	მაგიდ ა -ებ-მა	მთ ა -ებ-მა	დღე-ებ-მა	ხე-ებ-მ
მიცემითი	მაგიდ ა -ებ-ს	მთ ა -ებ-ს	დღე-ებ-ს	ახე-ებ-ს
ნათესაობითი	მაგიდ ა -ებ-ის	მთ ა -ებ-ის	დღე-ებ-ის	ხე-ებ-ის
მოქმედებითი	მაგიდ ა -ებ-ით	მთ ა -ებ-ით	დღე-ებ-ით	ხე-ებ-ით
ვითარებითი	მაგიდ ა -ბ-ად	მთ ა -ებ-ად	დღე-ებ-ად	ხე-ებ-ად
წოდებითი	მაგიდ ა -ებ-ო	მთ ა -ებ-ო	დღე-ებ-ო	ხე-ებ-ო

როცა სიტყვა ე-ზე ბოლოვდება მრავლობითში ორი ე იწერება.

მხოლოდობითი

როცა სიტყვები ბოლოვდება ო / უ -ზე

სახელობითი	გოგო	ფოტო	მენიუ
მოთხრობითი	გოგო-მ	ფოტო-მ	მენიუ-მ
მიცემითი	გოგო-ს	ფოტო-ს	მენიუ-ს
ნათესაობითი	გოგო-ს(ი)	ფოტო-ს(ი)	მენიუ-ს(ი)
მოქმედებითი	გოგო-თ	ფოტო-თი	მენიუ-თი
ვითარებითი	გოგო-დ	ფოტო-დ	მენიუ-დ
წოდებითი	გოგო-ვ	ფოტო-ვ	მენიუ

მრავლობითი

სახელობითი	გოგო-ებ-ი	ფოტო-ებ-ი	მენიუ-ებ-ი
მოთხრობითი	გოგო-ებ-მა	ფოტო-ებ-მა	მენიუ-ებ-მა
მიცემითი	გოგო-ებ-ს	ფოტო-ებ-ს	მენიუ-ებ-ს
ნათესაობითი	გოგო-ებ-ის	ფოტო-ებ-ის	მენიუ-ებ-ის
მოქმედებითი	გოგო-ებ-ით	ფოტო-ებ-ით	მენიუ-ებ-ით
ვითარებითი	გოგო-ებ-ად	ფოტო-ებ-ად	მენიუ-ებ-ად
წოდებითი	გოგო-ებ-ო	ფოტო-ებ-ო	მენიუ-ებ-ო

! ღვინ~~ა~~ — ღვინის / ღვინით — ღვინის ფესტივალი — ღვინოს ფესტივალი
 კაფე — კაფესი / კაფეთი — კაფეს მენეჯერი — ~~კაფის მენეჯერი~~

სავარჯიშო:

1 ჩასვით სიტყვები სწორი ფორმით:

1. დავითი ყავას (რძე)ით სვამს.
2. ამ (თვე)ის ბოლოს ინგლისში მივდივარ.
3. თეკლა მათემატიკის (სავარჯიშო)ებს წერს.
4. აღმაშენებლის ქუჩაზე (კაფე)ები ღამის 12 საათამდე მუშაობს.
5. დღეს ჯონის (დედა)ის დაბადების დღეა.
6. (საელჩო)ს გვერდით კარგი კაფეა.
7. თამარი ნავით (მდინარე)ის მეორე მხარე გადავიდა.
8. მანანა, (კინო)ს ბილეთები ვიყიდო?
9. ახალი გერმანული (უთო) მაქვს.
10. ჩემს (ძმა)ებს არ უყვართ ჩაი.
11. აქ ხალხი ფეხით დადის, (მანქანა)ების გაჩერება არ შეიძლება.
12. ქართულ ანბანში 33 (ასო) არის.
13. ჩვენი (ვიზა)ები ჯერ არ არის.
14. დღეს ცხელა. (მზე) კარგად ანათებს.
15. ძველ თბილისში ვიწრო (ქუჩა)არის.
16. თეა, (ყავა)ს შაქრით დავლევ.
17. (მეტრო)თი მგზავრობა მიყვარს, სწრაფი ტრანსპორტია.
18. წვეულებაზე ლურჯი (კაბა)ით წავალ.

ა / ე / ო / უ -ზე დაბოლოებული საკუთარი სახელები

გიორგი
ნუცა
ნუნუ
ნინო
ელენე

} + მ, -ს, -ს(ი), -ით, დ

ი-ზე დაბოლოებული სახელები (ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები)

მხოლოდითი



სახელობითი	ფოთოლ-ი	საპონ-ი
მოთხრობითი	ფოთოლ-მა	საპონ-მა
მიცემითი	ფოთოლ-ს	საპონ-ს
ნათესაობითი	ფოთ ო ლ-ის	საპ ო ნ-ის
მოქმედებითი	ფოთ ო ლ-ით	საპ ო ნ-ით
ვითარებითი	ფოთ ო ლ-ად	საპ ო ნ-ად
წოდებითი	ფოთოლ ო -ო	საპონ ო -ო

მრავლობითი



სახელობითი	ფოთ ო ლ-ებ-ი	საპ ო ნ-ებ-ი
მოთხრობითი	ფოთ ო ლ-ებ-მა	საპ ო ნ-ებ-მა
მიცემითი	ფოთ ო ლ-ებ-ს	საპ ო ნ-ებ-ს
ნათესაობითი	ფოთ ო ლ-ებ-ის	საპ ო ნ-ებ-ის
მოქმედებითი	ფოთ ო ლ-ებ-ით	საპ ო ნ-ებ-ით
ვითარებითი	ფოთ ო ლ-ებ-ად	საპ ო ნ-ებ-ად
წოდებითი	ფოთ ო ლ-ებ-ო	საპ ო ნ-ებ-ო

მხოლოდითი



სახელობითი	მამალ-ი	საგან-ი	კალამ-ი	მეგობარ-ი
მოთხრობითი	მამალ-მა	საგან-მა	კალამ-მა	მეგობარ-მა
მიცემითი	მამალ-ს	საგან-ს	კალამ-ს	მეგობარ-ს
ნათესაობითი	მამ ა ლ-ის	საგ ა ნ-ის	კალ ა მ-ის	მეგობ ა რ-ის
მოქმედებითი	მამ ა ლ-ით	საგ ა ნ-ით	კალ ა მ-ით	მეგობ ა რ-ით
ვითარებითი	მამ ა ლ-ად	საგ ა ნ-ად	კალ ა მ-ად	მეგობ ა რ-ად
წოდებითი	მამალ-ო	საგან-ო	კალამ-ო	მეგობარ-ო

მრავლობითი



სახელობითი	მამ ა ლ-ებ-ი	საგ ა ნ-ებ-ი	კალ ა მ-ებ-ი	მეგობ ა რ-ებ-ი
მოთხრობითი	მამ ა ლ-ებ-მა	საგ ა ნ-ებ-მა	კალ ა მ-ებ-მა	მეგობ ა რ-ებ-მა
მიცემითი	მამ ა ლ-ებ-ს	საგ ა ნ-ებ-ს	კალ ა მ-ებ-ს	მეგობ ა რ-ებ-ს
ნათესაობითი	მამ ა ლ-ებ-ის	საგ ა ნ-ებ-ის	კალ ა მ-ებ-ის	მეგობ ა რ-ებ-ის
მოქმედებითი	მამ ა ლ-ებ-ით	საგ ა ნ-ებ-ით	კალ ა მ-ებ-ით	მეგობ ა რ-ებ-ით
ვითარებითი	მამ ა ლ-ებ-ად	საგ ა ნ-ებ-ად	კალ ა მ-ებ-ად	მეგობ ა რ-ებ-ად
წოდებითი	მამ ა ლ-ებ-ო	საგ ა ნ-ებ-ო	კალ ა მ-ებ-ო	მეგობ ა რ-ებ-ო

მხოლოდითი



სახელობითი	მეზობელ-ი	ბერძენ-ი	მასწავლებელ-ი	ნომერ-ი
მოთხრობითი	მეზობელ-მა	ბერძენ-მა	მასწავლებელ-მა	ნომერ-მა
მიცემითი	მეზობელ-ს	ბერძენ-ს	მასწავლებელ-ს	ნომერ-ს
ნათესაობითი	მეზობ ე ლ-ის	ბერძ ე ნ-ის	მასწავლებ ე ლ-ის	ნომ ე რ-ის
მოქმედებითი	მეზობ ე ლ-ით	ბერძ ე ნ-ით	მასწავლებ ე ლ-ით	ნომ ე რ-ით
ვითარებითი	მეზობ ე ლ-ად	ბერძ ე ნ-ად	მასწავლებ ე ლ-ად	ნომ ე რ-ად
წოდებითი	მეზობელ-ო	ბერძენ-ო	მასწავლებელ-ო	ნომერ-ო

მრავლობითი



სახელობითი	მეზობ ე ლ-ებ-ი	ბერძ ე ნ-ებ-ი	მასწავლებ ე ლ-ებ-ი	ნომ ე რ-ებ-ი
მოთხრობითი	მეზობ ე ლ-ებ-მა	ბერძ ე ნ-ებ-მა	მასწავლებ ე ლ-ებ-მა	ნომ ე რ-ებ-მა
მიცემითი	მეზობ ე ლ-ებ-ს	ბერძ ე ნ-ებ-ს	მასწავლებ ე ლ-ებ-ს	ნომ ე რ-ებ-ს
ნათესაობითი	მეზობ ე ლ-ებ-ის	ბერძ ე ნ-ებ-ის	მასწავლებ ე ლ-ებ-ის	ნომ ე რ-ებ-ის
მოქმედებითი	მეზობ ე ლ-ებ-ით	ბერძ ე ნ-ებ-ით	მასწავლებ ე ლ-ებ-ით	ნომ ე რ-ებ-ით
ვითარებითი	მეზობ ე ლ-ებ-ად	ბერძ ე ნ-ებ-ად	მასწავლებ ე ლ-ებ-ად	ნომ ე რ-ებ-ად
წოდებითი	მეზობ ე ლ-ებ-ო	ბერძ ე ნ-ებ-ო	მასწავლებ ე ლ-ებ-ო	ნომ ე რ-ებ-ო

როცა ო იცვლება ვ-თი

მხოლოდითი

ო → ვ

სახელობითი	ნიორ-ი	ნიგობ-ი	პამიდორ-ი	მაწონ-ი	მინდორ-ი
მოთხრობითი	ნიორ-მა	ნიგობ-მა	პამიდორ-მა	მაწონ-მა	მინდორ-მა
მიცემითი	ნიორ-ს	ნიგობ-ს	პამიდორ-ს	მაწონ-ს	მინდორ-ს
ნათესაობითი	ნივრ-ის	ნიგვბ-ის	პამიდვრ-ის	მაწვნ-ის	მინდვრ-ის
მოქმედებითი	ნივრ-ით	ნიგვბ-ით	პამიდვრ-ით	მაწვნ-ით	მინდვრ-ით
ვითარებითი	ნივრ-ად	ნიგვბ-ად	პამიდვრ-ად	მაწვნ-ად	მინდვრ-ად
წოდებითი	ნიორ-ო	ნიგობ-ო	პამიდორ-ო	მაწონ-ო	მინდორ-ო

მრავლობითი

ო → ვ

სახელობითი	ნივრ-ებ-ი	ნიგვბ-ებ-ი	პამიდვრ-ებ-ი	მაწვნ-ებ-ი	მინდვრ-ებ-ი
მოთხრობითი	ნივრ-ებ-მა	ნიგვბ-ებ-მა	პამიდვრ-ებ-მა	მაწვნ-ებ-მა	მინდვრ-ებ-მა
მიცემითი	ნივრ-ებ-ს	ნიგვბ-ებ-ს	პამიდვრ-ებ-ს	მაწვნ-ებ-ს	მინდვრ-ებ-ს
ნათესაობითი	ნივრ-ებ-ის	ნიგვბ-ებ-ის	პამიდვრ-ებ-ის	მაწვნ-ებ-ის	მინდვრ-ებ-ის
მოქმედებითი	ნივრ-ებ-ით	ნიგვბ-ებ-ით	პამიდვრ-ებ-ით	მაწვნ-ებ-ით	მინდვრ-ებ-ით
ვითარებითი	ნივრ-ებ-ად	ნიგვბ-ებ-ად	პამიდვრ-ებ-ად	მაწვნ-ებ-ად	მინდვრ-ებ-ად
წოდებითი	ნივრ-ებ-ო	ნიგვბ-ებ-ო	პამიდვრ-ებ-ო	მაწვნ-ებ-ო	მინდვრ-ებ-ო


ამბავი

სახელობითი	ამბავ-ი
მოთხრობითი	ამბავ-მა
მიცემითი	ამბავ-ს
ნათესაობითი	ამბ-ის
მოქმედებითი	ამბ-ით
ვითარებითი	ამბ-ად
წოდებითი	ამბავ-ო

თვალი – თვალით

სახელობითი	თვალ-ი
მოთხრობითი	თვალ-მა
მიცემითი	თვალ-ს
ნათესაობითი	თვალ-ის
მოქმედებითი	თვალ-ით
ვითარებითი	თვალ-ად
წოდებითი	თვალ-ო

!



დედას **თვალი** სტკივა.
თვალის ტკივილი ცუდია.

თვალი – თვლით

სახელობითი	თვალ-ი
მოთხრობითი	თვალ-მა
მიცემითი	თვალ-ს
ნათესაობითი	თვ ალ -ის
მოქმედებითი	თვ ალ -ით
ვითარებითი	თვ ალ -ად
წოდებითი	თვალ-ო

!

ჩემს ბეჭედს წითელი **თვალი** აქვს.
წინოს არუქეს ბეჭედი მწვანე **თვლით**.



!

ქვეყანა + ის / ით / ად / ებ = ქვეყ~~ანა~~-ის / ქვეყ~~ანა~~-ით / ქვეყ~~ანა~~-ად / ქვეყანა -ებ-ი

ფანჯარა + ის / ით / ად / ებ = ფანჯ~~არა~~-ის / ფანჯ~~არა~~-ით / ფანჯ~~არა~~-ად / ფანჯ~~არა~~-ებ-ი

მხოლოდითი

ქვეყ~~ანა~~ და ფანჯ~~არა~~ + -ის / -ით / -ად

სახელობითი	ქვეყან-ა	ფანჯარა
მოთხრობითი	ქვეყანა-მ	ფანჯარა-მ
მიცემითი	ქვეყანა-ს	ფანჯარა-ს
ნათესაობითი	ქვეყნ-ის	ფანჯრ-ის
მოქმედებითი	ქვეყნ-ით	ფანჯრ-ით
ვითარებითი	ქვეყნ-ად	ფანჯრ-ად
წოდებითი	ქვეყანა-ვ	ფანჯარა-ვ

მრავლობითი

ქვეყ~~ანა~~ და ფანჯ~~არა~~ + ებ

ქვეყნ-ები-ი	ფანჯრ-ები-ი
ქვეყნ-ები-მა	ფანჯრ-ები-მა
ქვეყნ-ები-ს	ფანჯრ-ები-ს
ქვეყნ-ები-ის	ფანჯრ-ები-ის
ქვეყნ-ები-ით	ფანჯრ-ები-ით
ქვეყნ-ები-ად	ფანჯრ-ები-ად
ქვეყნ-ები-ო	ფანჯრ-ები-ო

2 ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დაწერეთ სწორი ფორმით:

1. გიორგი ბევრს საუბრობდა თავისი (ქვეყანა) შესახებ.
2. (ნიგოზი) ნამცხვარი გემრიელია.
3. ცივი (წყალი) სმა უყვარს დედას.
4. (რესტორანი)..... მენეჯერი მშვენიერი ქალბატონია.
5. თბილისში ბევრი ძველი (უბანი) არის.
6. სოფო, (აივანი) კარი დაკეტე?
7. (ნიორი) სუნი არ მსიამოვნებს.
8. (წელი) ბოლოს ექსკურსიაზე მივდივართ.
9. ჩემმა (მეგობარი)ებ..... ბევრი წიგნი წაიკითხეს.
10. თეფშებთან ერთად მაგიდაზე არის (ჩანგალი)ებ.....
11. ჩვენს (მეზობელი)ებ..... ლამაზი ბალი აქვთ.
12. დაბადების დღეზე (ალუბალი) მორთული ტორტი მქონდა.
13. (ყურძენი) წვენით ბადაგს აკეთებენ.
14. გუშინ ჩემი (მეგობარი) სტუმრად მოვიდა.
15. სასიამოვნო (ამბავი) გაგება ყველა ადამიანს უხარია.
16. წითელი (შარვალი) 150 ლარი ღირს.
17. ნანის (მშობელი)ებ..... კარგად მღერიან.
18. (ბაზარი) ახლოს დიდი სუპერმარკეტია.
19. საავადმყოფოში (ექთანი)ებ... ბევრი სამუშაო აქვთ.
20. ანას ძალიან მოსწონს თავისი საძინებლის (კედელი) ფერი.

3 ამოიწერეთ ხაზგასმული სიტყვები და მიუწერეთ, რომელ ბრუნვაშია:

მე ვარ თიკო. მე ვცხოვრობ თბილისში და ვსწავლობ სამედიცინო უნივერსიტეტში. მე მყავს დედა, მამა და უფროსი ძმა. ჩვენი ბინა დიდია. ყველას ჩვენი ოთახი გვაქვს. ჩემი ძმის ოთახი დიდი და ნათელია.

დღედა მასწავლებლად მუშაობს სკოლაში. მამა ბანკში მუშაობს. მამაჩემმა გუშინ ახალი მანქანა იყიდა, ჩემს ძმას ძალიან მოსწონს მამას მანქანა. დღეს ქალაქგარეთ გავისეირნებთ ჩვენი მანქანით.

მე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. გუშინ ინტერვიუ ჩავწერე ბატონ ლევანთან. ბატონი ლევანი ჩემი ლექტორი არის. ბევრი კითხვა მქონდა, მაგრამ ბატონ ლევანს არ ეჩქარებოდა და მხოლოდ სამი კითხვა დავუსვი.

კითხვები: ვინ, რა სხვადასხვა ბრუნვაში და კასუსი

ბრუნვები	ვინ	რა
სახელობითი	ვინ	რა
მოთხრობითი	ვის	რა-მ
მიცემითი	ვის	რა-ს
ნათესაობითი	ვისი	რ-ის
მოქმედებითი	—	რ-ით
ვითარებითი	—	რა-დ
წოდებითი	—	—

305

სახელობითი: **ვინ** მოვიდა ჩვენთან? – ჩვენთან მოვიდა დეიდა.

მოთხრობითი: **ვინ** გააცდინა სკოლა გუშინ? – მაიკომ გააცდინა სკოლა გუშინ.

მიცემითი: **ვის** უნდა ახალი მანქანა? – გიორგის უნდა ახალი მანქანა.

ნათესაობითი: **ვისი** ჩანთა დევს მაგიდაზე? – ჩემი მეგობრის ჩანთაა.

ვინ – ვინები არ აქვს მრავლობითი რიცხვი

ვინ მოვიდნენ? – ვინები მოვიდნენ – ჩემი მეგობრები მოვიდნენ.

*** შეიძლება ვთქვათ, ვინ და ვინ მოვიდნენ?**

რა

სახელობითი: **რა** მოგვიტანა ბებომ? – ბებომ მოგვიტანა ვაშლი და ფორთოხალი.

მოთხრობითი: **რამ** გამოიწვია სიძულვილი მეგობრებს შორის?

– ხალხის ლაპარაკმა.

მიცემითი: თემო, **რას** სვამ დილით: ყავას თუ ჩაის? – დილით ვსვამ ყავას.

ნათესაობითი: **რის** წვეს დაღევთ, თეა? – ფორთოხლის წვენი, თუ შეიძლება.

მოქმედებითი: **რით** არის ცნობილი კახეთი? – კახეთი ცნობილია ქვევრის ღვინით.

ვითარებითი: **რად** გადაიქცა ყინული მალალ ტემპერატურაზე?

– ყინული გადაიქცა წყლად.

მრავლობით რიცხვში იქნება – რაები?

რა იყიდა ჭიმიმ? – ჭიმიმ იყიდა პური.

რაები იყიდა ჭიმიმ? – ჭიმიმ იყიდა: პური, კარტოფილი, კომბოსტო და ვაშლი.

კუთვნილების გამოხატვა კუთვნილებითი ნაცვალსახელებით

მე მაქვს დიდი სახლი. **ჩემი** სახლი ძალიან კომფორტულია.

შენ რამდენი წლის ხარ, ნოდარ? – მე ვარ 29 წლის. **შენი** ძმა რამდენი წლისაა? – ის 32 წლის არის.

ის გიორგია. **მისი** მანქანა წითელია.

ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. **ჩვენი** ოჯახი დიდია.

ნია და ჯონ, თქვენ სად ცხოვრობთ? **თქვენი** სახლი აქედან ახლოს არის?

ნინოს და აკაკის ახალი ბინა აქვთ. ისინი რუსთაველზე ცხოვრობენ. **მათი** ბინა მეოთხე სართულზეა.

მე ვარ ნინო.



ის, რაც მე მეკუთვნის, არის **ჩემი**

შენ ხარ დავითი.



რაც შენ გეკუთვნის, არის **შენი**

ის არის ტატო.



რაც მას ეკუთვნის, არის **მისი**

მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
მე - ჩემი	ჩვენ - ჩვენი
შენ - შენი	თქვენ - თქვენი
ის - მისი	ისინი - მათი

კუთვნილების გამოხატვა ნათესაობის სახელებით

ჩემი / შენი / მისი / ჩვენი / თქვენი / მათი ძმა არის ნიკო.

ჩემი / შენი / მისი / ჩვენი / თქვენი / მათი და არის თეა.

დედაჩემი / დედაშენი / დედამისი არის მსახიობი.

მამაჩემი / მამაშენი / მამამისი არის იურისტი.

კუთვნილებით ნაცვალსახელს (ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი) + ნათესაობის გამომხატველი სიტყვები (დედა, მამა, პაპა, ბებია, ბიძა...)

დედა + ჩემი = დედაჩემი / დედა + შენი = დედაშენი / დედა + მისი = დედამისი

მამა + ჩემი = მამაჩემი / მამა + შენი = მამაშენი / მამა + მისი = მამამისი

ბიძა + ჩემი = ბიძაჩემი / ბიძა + შენი = ბიძაშენი / ბიძა + მისი = ბიძამისი

ბებია + ჩემი = ბებიაჩემი / ბებია + შენი = ბებიაშენი / ბებია + მისი = ბებიამისი

ჩემი	}	და
შენი		
მისი		
ჩვენი		ძმა
თქვენი		
მათი		

დედაჩემი
დედაშენი
მამაჩემი
მამაშენი

საკუთარი სახელით გამოხატული კუთვნილება

ლიკას ოთახი არის ცისფერი.
დათოს ყავა არის ცხელი.
ჯონის და იურისტია.
თამარის სახლის ვაკეშია.
ნუნუს მეგობარი იაპონიაში ცხოვრობს.
ოთარის მანქანა არის შავი.
ელენეს ძმა 4 წლის არის.

ა / ე / ი / ო / უ -ზე დაბოლოებულ საკუთარ სახელებს + ს = კუთვნილებას

ლიკა + ს
დათო + ს
დალი + ს
ნუნუ + ს
ელენე + ს

ი-ზე დაბოლოებული უმეტესი საკუთარი სახელები + ის = კუთვნილება

თამარ~~ი~~ + ის
ოთარ~~ი~~ + ის

სახელზე -ის / ს მანარმოებლის დამატებით მიღებული კუთვნილების გამომხატველი სიტყვები:

ბავშვის ტანსაცმელს ვრეცხავ.
სკოლის დირექტორი ჩემი მეგობარია.
ამ ოთახის ფერი არ მომწონს.
ოთახში ხის სკამები დგას.
ანა, აბაზანის კარი დახურე.
საელჩოს მისამართი არ ვიცი.

ი-ზე დაბოლოებული სახელები + ის

ბავშვ~~ი~~ + ის = ბავშვის
ოთახ~~ი~~ + ის = ოთახის

ა-ზე და ე-ზე დაბოლოებული სახელები + ის

ხ~~ა~~ + ის = ხის
აბაზან~~ა~~ + ის = აბაზანის
სკოლ~~ა~~ + ის = სკოლის

ო-ზე დაბოლოებული სახელები + ს

საელჩო + ს = საელჩოს

საპარჯიშო:

1 წინადადებებში გამოტოვებულ ადგილას ჩასვით კუთვნილებითი ნაცვალსახელები (ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი):

1. მე მაქვს დიდი სახლი. სახლში ოთახი ნათელია.
2. ქალბატონო თამარ, საუბრე მზად არის.
3. ნინო, შარვალი ძალიან მომწონს.
4. მე და ძმა კინოში ვართ.
5. ბებია და ბაბუა სოფელში ცხოვრობენ. სახლი არის ორსართულიანი.
6. დარი თბილისში სწავლობს. უნივერსიტეტი ქალაქის ცენტრშია.
7. მე და თინა წვეულებაზე ვართ. მეგობრებიც აქ არიან.
8. სერგი, მამა რამდენი წლის არის?
9. ბელას ჰყავს ბიძა. ბიძა ექიმია.
10. მარი და ლევან, ბილეთები მე მაქვს.
11. მე ვარ დიანა. დედა არის ლალი, ის მსახიობია.
12. ჩვენ გვიყვარს ქალაქი, ის ძალიან ლამაზია.
13. ელენეს და გიას ჰყავთ დეიდა. დეიდა ნიუ-იორკში მუშაობს.
14. ნია მუშაობს რესტორანში. მენეჯერი არის დავითი.
15. ტომ, სამსახური მოგწონს?

2 ჩასვით სახელი შესაბამის ფორმაში:

1. (სახლი) კარი ღია არის.
2. ანტონი თავის (დღე) გეგმას წერს.
3. (წიგნი) მაღაზია არის ბარათაშვილის ქუჩაზე.
4. ჩვენს მენიუში არის (სოკო) სუპი.
5. ჩემი (ძმა) მეგობარი გერმანელია.
6. (მინისტრი) კაბინეტი არის მარცხნივ.
7. ამ სუპერმარკეტში იყიდება (რძე) პროდუქტები
8. მწვანე (კაბა) ფასი არ იცი?
9. რა ღირს (ქალი) ფეხსაცმელი?
10. ნონას (ტყე) მცენარეები უყვარს.
11. (დემეტრე) წიგნი საინტერესოა.
12. (მეტრო) ბილეთი არ მაქვს.
13. ნიკოს (მამა) კაბინეტში დგას მაგიდა და დივანი.
14. (მზე) სხივები ანათებს.
15. (ნანა) მაგიდა ჭუჭყიანია.
16. (ტბა) თევზი გემრიელია.
17. (სტაფილო) წვენი სასარგებლო არის.
18. (სოფო)..... დეიდა კარგად ცეკვავს.
19. (ზღვა) სანაპირო ქვიშიანია.
20. (დანელი) ჩაი შაქრიანია.

რაოდენობის ჩვენება

რაოდენობის ჩვენება

სამი, ათი, თხუთმეტი, ოცდაშვიდი

რიგის ჩვენება

მესამე, მეათე, მეთხუთმეტე

ნაწილის ჩვენება

მესამედი, მეათედი, მეთხუთმეტედი

რაოდენობის ჩვენება

1 – 10

ციფრით

4	6	3	8
		1	
7	5	9	2
			10

სიტყვით

ოთხი	ექვსი	ერთი	რვა
ხუთი		სამი	ორი
შვიდი	ცხრა	ათი	

11 – 19

ციფრით

11	13	17	15
		19	
12	18	16	14

სიტყვით

თერთმეტი	ცამეტი	ჩვიდმეტი
თხუთმეტი		თექვსმეტი
ცხრამეტი	თვრამეტი	თოთხმეტი
	თორმეტი	

20 ოცი

40 / 60 / 80

ორმოცი (2*20) / სამოცი (3*20) / ოთხმოცი (4*20)

30 / 50 / 70

ოც-და-ათი (20+10) / ორმოც+და-ათი (40+10) / სამოც-და-ათი (60+10)

21 / 22 / 23 / 24 / 25 / 26 / 27 / 28 / 29 ოც-და

41 / 42 / 43 / 44 / 45 / 46 / 47 / 48 / 49 ორმოც-და

61 / 62 / 63 / 64 / 65 / 66 / 67 / 68 / 69 სამოც-და

81 / 82 / 83 / 84 / 85 / 86 / 87 / 88 / 89 ოთხმოც-და

+

ერთი / ორი / სამი / ოთხი / ხუთი / ექვსი / შვიდი / რვა / ცხრა

ოცდაერთი; ორმოცდაორი; სამოცდასამი; ოთხმოცდაოთხი; ოცდახუთი; ორმოცდაექვსი; სამოცდაშვიდი; ოთხმოცდარვა; ოცდაცხრა...

31 / 32 / 33 / 34 / 35 / 63 / 37 / 38 / 39 ოც-და
 51 / 52 / 53 / 54 / 55 / 56 / 57 / 58 / 59 ორმოც-და
 71 / 72 / 73 / 74 / 75 / 76 / 77 / 78 / 79 სამოც-და
 91 / 92 / 93 / 94 / 95 / 96 / 97 / 98 / 99 ოთხმოც-და

თერთმეტი / თორმეტი /
 ცამეტი / თოთხმეტი /
 თხუთმეტი / თექვსმეტი /
 ჩვიდმეტი / თვრამეტი /
 ცხრამეტი

+

**ოცდათერთმეტი; ორმოცდათორმეტი; სამოცდაცამეტი;
 ოთხმოცდათოთხმეტი; ოცდათხუთმეტი; ორმოცდათექვსმეტი;
 სამოცდაჩვიდმეტი; ოთხმოცდათვრამეტი; ოცდაცხრამეტი...**

100 ასი

200	ორ ც + ასი	}	=	ორასი
300	სამ ც + ასი		სამასი	
400	ოთხ ც + ასი		ოთხასი	
500	ხუთ ც + ასი		ხუთასი	
600	ექვს ც + ასი		ექვსასი	
700	შვილ ც + ასი		შვიდასი	
800	რვ ც + ასი		რვაასი	
900	ცხრ ც + ასი		ცხრაასი	
1000	ათ ც + ასი		ათასი	

101 – 999

ას +
 ორას +
 სამას +
 ოთხას +
 ხუთას +
 ექვსას +
 შვიდას +
 რვაას +
 ცხრაას +

ერთი / ორი / სამი /
 ოთხი / ხუთი / ექვსი /
 შვიდი / რვა / ცხრა /
 ათი

ას +
 ორას +
 სამას +
 ოთხას +
 ხუთას +
 ექვსას +
 შვიდას +
 რვაას +
 ცხრაას +

ას +
 ორას +
 სამას +
 ოთხას +
 ხუთას +
 ექვსას +
 შვიდას +
 რვაას +
 ცხრაას +

ოცდა /
 ორმოცდა / სამოცდა /
 ოთხმოცდა

თერთმეტი თორმეტი
 ცამეტი თოთხმეტი
 თხუთმეტი თექვსმეტი
 ჩვიდმეტი თვრამეტი
 ცხრამეტი

**ას ერთი; ორას სამი; სამას თორმეტი; ოთხას ოცდაშვიდი;
 ხუთას ოცდათხუთმეტი; ექვსას ორმოცდაცხრა; შვიდას ორმოცდათერთმეტი;
 რვაას სამოცდაორი; ცხრაას ოთხმოცდაცამეტი...**

2000	ორი + ათ + ასი	}	=	ორი ათასი
3000	სამი + ათ + ასი			სამი ათასი
4000	ოთხი + ათ + ასი			ოთხი ათასი
5000	ხუთი + ათ + ასი			ხუთი ათასი
6000	ექვსი + ათ + ასი			ექვსი ათასი
7000	შვიდი + ათ + ასი			შვიდი ათასი
8000	რვა + ათ + ასი			რვა ათასი
9000	ცხრა + ათ + ასი			ცხრა ათასი
10000	ათი + ათ + ასი			ათი ათასი

სავარჯიშო:

1 ტექსტში ციფრებით მოცემული რიცხვითი სახელები შეცვალეთ სიტყვებით:

გიორგი (10) წლისაა. მას ჰყავს (1) და და (2) ძმა.
 მისი და, ნინო, (15) წლისაა. უმცროსი ძმა, დავითი, (3)
 წლისაა. უფროსი ძმა, გიგა, არის (17) წლის. გიორგის დედა არის
 (40) წლის. გიორგის დედა დაიბადა (1980)
 წელს. მამა კი (45) წლის. გიორგის ბებია (71)
 წლისაა. ბაბუა კი არის (73) წლის. ბაბუა დაიბადა (1949)
 წელს. გიორგის ჰყავს მამიდა, მერი. მერი არის (37)
 წლის. მერის შვილი, მათე, (14) წლისაა.
 მათე დაიბადა (2006) წელს.

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი (საგანთა რაოდენობის ჩვენება)

მრავლობითი (ანუ ერთზე მეტი): სახლები, ბავშვები, ლექციები

მაგრამ სამოცდაორი ბავშვი / ბავშვები, ოცი სახლი / სახლები, შვიდი ლექცია / ლექციები;

სიტყვები: ბევრი, ცოტა

ბევრი წიგნი / ~~წიგნები~~

ცოტა ადამიანი / ~~ადამიანები~~

რიცხვი სახელი ზმნა

ბევრი + ბავშვი + მოვიდა / ~~მოვიდნენ~~

სამი + კაცი + წავიდა / ~~წავიდნენ~~

რამდენიმე + სტუდენტი + მღერის / ~~მღერიან~~

2 იპოვეთ შეცდომები და სწორად გადაწერეთ ტექსტი:

ლია მუშაობს უნივერსიტეტში. ის არის ლექტორი. ასწავლის მათემატიკას. სტუდენტებს მოსწონთ ლიას ლექციები. გუშინ ოთხი სტუდენტი არ მივიდნენ ლექციაზე. ლიას კიდევ რამდენიმე მეგობრები ასწავლიან უნივერსიტეტში. ისინი მუშაობენ მხოლოდ ორი დღეები. ცოტა ლექტორები არიან ქიმიის ფაკულტეტზე.

რიგის ჩვენება

რაოდენობით რიცხვით სახელს + მე – ე (პრეფიქს-სუფიქსი)

მე + ციფრი + ე

ორიდან ოცის ჩათვლით; ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ასი, ათასი, ათი ათასი, ასი ათასი, მილიონი

ათი	მე + ათ ი + ე	მე-10
შვიდი	მე + შვიდ ი + ე	მე-7
ასი	მე + ას ი + ე	მე-100

ციფრი + მე + ციფრი + ე

ოცდარვა	ოცდა + მე + რვ ა + ე	28-ე
სამოცდაოთხი	სამოცდა + მე + ოთხ ი + ე	64-ე
ორას ცხრა	ორას + მე + ცხრ ა + ე	209-ე
სამას ორმოცდათხუთმეტი	სამასორმოცდა + მე + თხუთმეტ ი + ე	355-ე

ერთი – რაოდენობის ჩვენება — 1

პირველი – რიგის ჩვენება — 1-ლი

რომაული ციფრები

III, X, XII, XXV, XV

პრეფიქს-სუფიქსი ~~მე~~ე

III

~~მე~~ - III

X

~~მე~~ - X

XII

~~მე~~ - XII

XXV

XXV - ~~მე~~

L

L - ~~მე~~

-მ, -ს, -ის ... (ბრუნვის ნიშნები) და -ზე, -ში, -თან... (თანდებულები):

III	-მ / -ს / -ის	III	-ზე / -ში / -თან
X	-მ / -ს / -ის	X	-ზე / -ში / -თან
XII	-მ / -ს / -ის	XII	-ზე / -ში / -თან
XXV	-მ / -ს / -ის	XXV	-ზე / -ში / -თან
L	-მ / -ს / -ის	L	-ზე / -ში / -თან

3 სიტყვებით დაწერილი რიგობითი რიცხვითი სახელები შეცვალეთ ციფრებით:

სანდრო (პირველ) კლასშია. მას ძალიან მოსწონს სკოლა. სანდრო (ას ოცდამეოთხე) სკოლაში დადის. სანდროს დეიდაშვილი, მარიაში, (მეცხრე კლასშია) ის კარგად სწავლობს ისტორიას და გეოგრაფიას. სანდროს ბიძაშვილი, თომა, (ოცდამეოთხეთმეტე) სკოლაში დადის. სპორტული სკოლაა, იქ ასწავლიან ფეხბურთს.

4 რიგობითი რიცხვითი სახელები შეცვალეთ რომაული ციფრებით:

1. (მე-11) სართულზე ცხოვრობს გია. კესო (მე-6-ზე) მათი მეგობარი ნინა – (21-ზე)
2. სიმღერის კონკურსში ნიამ (მე-2) ადგილი აიღო. ვატომ (1-ლი) ადგილი აიღო ცეკვის კონკურსში.
3. გოგა (მე-4) კორპუსში ცხოვრობს, ლალი – (მე-8-ში) დარი – (26-ეში)

ნაწილის ჩვენება

გვიჩვენებს მთელის რაღაც ნაწილს

რიგობით რიცხვით სახელს + **ღ** + **ი**

მესამე + **ღ** + **ი** = მესამე-ღ-ი

სამ ტოლ ნაწილად გაყოფილი მთელის ერთი ნაწილი

მეათე + **ღ** + **ი** = მეათე-ღ-ი

ათ ტოლ ნაწილად გაყოფილი მთელის ერთი ნაწილი

ოცდამეორე + **ღ** + **ი** = ოცდამეორე-ღ-ი

ოცდაორ ტოლ ნაწილად გაყოფილი მთელის ერთი ნაწილი

მეთერთმეტე + **ღ** + **ი** = მეთერთმეტე-ღ-ი

თერთმეტე ტოლ ნაწილად გაყოფილი მთელის ერთი ნაწილი

სამი მეათედი



ათი მეოთხედი



შვიდი მეხუთედი



ოცი მერვედი



ნახევარი (მეორედი) არის ორ ტოლ ნაწილად გაყოფილი მთელის ერთი ნაწილი

უნდა დავწერთ:

სამ~~ი~~ + ნახევარი = სამ-ნახევარი

ხუთ~~ი~~ + ნახევარი = ხუთ-ნახევარი

ათ~~ი~~ + ნახევარი = ათ-ნახევარი

საათ~~ი~~ + ნახევარი = საათ-ნახევარი

კილო + ნახევარი = კილო-ნახევარი

თვე + ნახევარი = თვე-ნახევარი

5 გაასწორეთ შეცდომები:

1. გიორგი 60-ე სკოლაში სწავლობს, ნათია კი მე-45-ეში.

2. დავით მე-IV-ს აღმაშენებელს უწოდებენ.

3. ქუჩაში ცოტა ადამიანები იდგნენ.

4. ილია ჭავჭავაძე მე-XIX-ე საუკუნეში ცხოვრობდა.

5. ჩვენს სკოლაში ათასორასორმოცდაათი მოსწავლე სწავლობს.

6. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ორ ათასმა კაცმა.

7. რატომ მოიტანე ოცდა სამი წიგნი?

8. ორსაათნახევარია გელოდები, რატომ არ მოხვედი?

9. ტურში მონაწილეობა მიიღეს 35 მოსწავლემ.

10. მე-98-ე სკოლაში ბევრი ბავშვები სწავლობენ.

11. ერეკლე 2-ემ უამრავი ბრძოლა მოიგო.

12. წელიწად ნახევარი აქ არ ვყოფილვარ.

13. სამუშაოს ორი-მეოთხედი არ შევასრულე.

14. მოთამაშეებმა გუნდს მე-3-ე ქულა მოუტანეს.

15. ეზოში ბევრი ქალები შეიკრიბა.

საგნის თვისების გამოხატვა (გედსართავი სახელი)




ოთახში **პატარა** მაგიდა დგას.
 ეს საგარტოში **ადვილი** არის.
ვინრო ქუჩებია თბილისში.
თბილი წყალი მოდის ონკანში.

გედსართავი სახელის ხარისხის ფორმები

თვისების გამოხატვა მეტ-ნაკლები ხარისხით

დიდი — მოდიდო — უდიდესი
 შავი — მოშავო — უშავესი
 თეთრი — მოთეთრო — უთეთრესი
 მშავე — მომშავო — უმშავესი



ნაკლებად – ოდნავ

მო - ო პრეფიქს-სუფიქსი

მო-დიდ-ო
 მო-შავ-ო
 მო-თეთრ-ო
 მო-მშავ-ო

ცოტა / ოდნავ დიდი / შავი / თეთრი / მშავე

მეტად – უფრო

უ - ეს პრეფიქს-სუფიქსი


უ-დიდ-ეს-ი
 უ-შავ-ეს-ი
 უ-თეთრ-ეს-ი
 უ-მშავ-ეს-ი



მეტად / უფრო დიდი / შავი / თეთრი / მშავე

ყველაზე დიდი; ყველაზე შავი; ყველაზე თეთრი; ყველაზე მშავე


ზოგი ზედსართავი სახელი



საგნის თვისების გამოხატვა სიტყვებით უფრო... ვიდრე და ყველაზე

როცა ადამიანებს / საგნებს ვადარებთ ერთმანეთს

ჩემი ბურთი უფრო დიდია, ვიდრე ნინოსი.
 ლევანი უფრო მაღალია, ვიდრე დავითი.
 ნინის კაბა უფრო მწვანეა, ვიდრე ლალის კაბა.
 ნათია უფრო ჭკვიანია, ვიდრე თეა.
 თბილისი საქართველოში ყველაზე დიდი ქალაქია.
 დარი კლასში ყველაზე ნიჭიერია.



სავარჯიშო:

1 ფრჩხილებში მოცემული სიტყვები შეცვალეთ უფროლობითი (უ - ეს) ხარისხის ფორმებით:

მაგალითად: მტკვარი (ყველაზე დიდი) **უდიდესი** მდინარეა საქართველოში.

1. ეს გიორგისტვის (ყველაზე ახალი) ინფორმაცია არის.
2. ჩემთვის ხინკალი(ყველაზე გემრიელი)ქართული საჭმელია.
3. ნინი (ყველაზე ჭკვიანი) გოგოა.
4. ამ უნივერსიტეტში (ყველაზე ძლიერი) ლექტორები არიან.
5. ცუკერბერგი ერთ-ერთი (ყველაზე მდიდარი) ადამიანია მსოფლიოში.

2 ჩასვით ზედსართავი სახელები ოდნაობითი (მო-ო) ხარისხის ფორმით:

მაგალითად: ლალის დიდი, (მწვანე) **მომწვანო** ლამაზი თვალები აქვს.

1. თეას ძალიან უხდება (გრძელი) თმა.
2. მე მალაზიაში (წითელი) ჩანთა ვნახე და ძალიან მომეწონა.
3. ეს საჭმელი (მწარე) არის.
4. მე მიყვარს (ტკბილი) ყავა.
5. ბენის სამზარეულოს კედლები არის (ყვითელი)

3 დაწერეთ წინადადებები სიტყვების - უფრო, ვიდრე - გამოყენებით:

მაგალითად: თბილისი ბათუმზე დიდი ქალაქია.
თბილისი უფრო დიდი ქალაქია, ვიდრე ბათუმი.

1. მართა ლილიზე ლამაზია. _____
2. მცხეთა თბილისზე ძველი ქალაქია. _____
3. დარი ნიკოზე ჭკვიანია. _____
4. ფილმი წიგნზე საინტერესო იყო. _____
5. ნინა ლექსზე ბარმაცია. _____

1. არსებითი სახელი (ნათესაობითი ბრუნვა: ის) + არსებითი სახელი
2. რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი
3. ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი

არსებითი სახელი (ნათესაობითი ბრუნვა: -ის) + არსებითი სახელი ა / ე -ზე დაბოლოებული სახელები

ხე + მაგიდა = ხის მაგიდა

სახელობითი:	ხ-ის მაგიდა
მოთხრობითი:	ხ-ის მაგიდა-მ
მიცემითი:	ხ-ის მაგიდა-ს
ნათესაობითი:	ხ-ის მაგიდ-ის
მოქმედებითი:	ხ-ის მაგიდ-ით
ვითარებითი:	ხ-ის მაგიდა-დ
წოდებითი:	ხ-ის მაგიდა

კუთვნილების გამოხატვა

ძმა+ სახლი = ძმის სახლი

სახელობითი:	ძმ-ის სახლ-ი
მოთხრობითი:	ძმ-ის სახლ-მა
მიცემითი:	ძმ-ის სახლ-ს
ნათესაობითი:	ძმ-ის სახლ-ის
მოქმედებითი:	ძმ-ის სახლ-ით
ვითარებითი:	ძმ-ის სახლ-ად
წოდებითი:	ძმ-ის სახლ-ო

კუთვნილების გამოხატვა

ი-ზე დაბოლოებული სახელები

ავტობუსი + ბილეთი = ავტობუსის ბილეთი

სახელობითი:	ავტობუს-ის ბილეთ-ი
მოთხრობითი:	ავტობუს-ის ბილეთ-მა
მიცემითი:	ავტობუს-ის ბილეთ-ს
ნათესაობითი:	ავტობუს-ის ბილეთ-ის
მოქმედებითი:	ავტობუს-ის ბილეთ-ით
ვითარებითი:	ავტობუს-ის ბილეთ-ად
წოდებითი:	ავტობუს-ის ბილეთ-ო

კუთვნილების გამოხატვა



რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი

ა-ზე დაბოლოებული სახელები

სახელობითი:	რვა სტუდენტ-ი
მოთხრობითი:	რვა სტუდენტ-მა
მიცემითი:	რვა სტუდენტ-ს
ნათესაობითი:	რვა სტუდენტ-ის
მოქმედებითი:	რვა სტუდენტ-ით
ვითარებითი:	რვა სტუდენტ-ად
წოდებითი:	რვა სტუდენტ-ო

საგნის რაოდენობის გამოხატვა

ი-ზე დაბოლოებული რიცხვითი სახელები

სახელობითი:	ორ-ი სახლ-ი
მოთხრობითი:	ორ-მა სახლ-მა
მიცემითი:	ორ სახლ-ს
ნათესაობითი:	ორ-ი სახლ-ის
მოქმედებითი:	ორ-ი სახლ-ით
ვითარებითი:	ორ სახლ-ად
წოდებითი:	ორი სახლ-ი

საგნის რაოდენობის გამოხატვა

ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი

ა / ე-ზე დაბოლოებული სახელები

სახელობითი:	მწვანე ოთახი
მოთხრობითი:	მწვანე ოთახ-მა
მიცემითი:	მწვანე ოთახ-ს
ნათესაობითი:	მწვანე ოთახ-ის
მოქმედებითი:	მწვანე ოთახ-ით
ვითარებითი:	მწვანე ოთახ-ად
წოდებითი:	მწვანე ოთახ-ო

თვისების გამოხატვა

სახელობითი:	ქერა თმა
მოთხრობითი:	ქერა თმა-მ
მიცემითი:	ქერა თმა-ს
ნათესაობითი:	ქერა თმ-ის
მოქმედებითი:	ქერა თმ-ით
ვითარებითი:	ქერა თმა-დ
წოდებითი:	ქერა თმა

თვისების გამოხატვა


ი-ზე დაბოლოებული სახელები

სახელობითი:	ლამაზი გოგო
მოთხრობითი:	ლამაზ-მა გოგო-მ
მიცემითი:	ლამაზ გოგო-ს
ნათესაობითი:	ლამაზ-ი გოგო-სი
მოქმედებითი:	ლამაზ-ი გოგო-თი
ვითარებითი:	ლამაზ გოგო-დ
წოდებითი:	ლამაზ-ო გოგო

თვისების გამოხატვა

სახელს + პრეფიქს-სუფიქსი = ზედსართავი სახელი

გამოხატავს თვისებას
კითხვა: როგორი?



-იან პრეფიქსით თვისების გამოხატვა
სახელი + იან
(რალაც აქვს / ვილაცა ჰყავს)

მზიანი – როცა მზე არის დღეს **მზიანი** ამინდია.

შაქრიანი – შაქრით, როცა რალაცას აქვს **შაქარი**.
შაქრიანი ყავას დავლევ.

ცოლიანი – როცა ვინმეს ჰყავს **ცოლი** გივი **ცოლიანი** კაცია.

უ-ო პრეფიქს-სუფიქსით თვისების გამოხატვა
უ + სახელი + ო
რალაცის / ვილაც გარეშე

უმზეო – როცა მზე არ არის **უმზეო** ამინდში არ მიყვარს გარეთ გასვლა.

უშაქრო – როცა რალაც არის **შაქრის** გარეშე **უშაქრო** ყავა მინდა.

უცოლო – როცა ვინმეს არ ჰყავს **ცოლი** ჩემი ძმა **უცოლოა**.

ა, ე -ზე დაბოლოებული სახელები

ტყე, მთვარე, ხმა, წინაკა

~~ტყე~~
~~მთვარე~~
~~ხმა~~
~~წინაკა~~

} +იან-ი

ტყიანი, მთვარიანი, ხმიანი, წინაკიანი

უ - ლ

უ + ~~ტყე~~ + ლ = უტყელო
 უ + ~~ხმა~~ + ლ = უხმო
 უ + ~~მთვარე~~ + ლ = უმთვარო
 უ + ~~წინაკა~~ + ლ = უწინაკო

-იან	უ-ლ
ტყიანი	უტყელო
მთვარიანი	უმთვარო
ხმიანი	უხმო
წინაკიანი	უწინაკო

ო, უ -ზე დაბოლოებული სახელები

თარო, ეზო

თარო
 ეზო

} +იან-ი

თაროიანი, ეზოიანი

უ - ლ

უ + თარო + ლ = უთაროლო
 უ + ეზო + ლ = უეზოლო

-იან	უ-ლ
თაროიანი	უთაროლო
ეზოიანი	უეზოლო

! ღვინო – ღვინიანი, უღვინო

ი-ზე დაბოლოებული სახელები

მარილი, ქუდი, ქარი

მარილ-
ქუდ-
ქარ- } +იან-ი

მარილიანი, ქუდიანი, ქარიანი

უ - ლ

უ + მარილ + ლ = უმარილო
უ + ქუდ + ლ = უქუდო
უ + ქარ + ლ = უქარო

-იან	უ-ლ
მარილიანი	უმარილო
ქუდიანი	უქუდო
ქარიანი	უქარო

ღრუბელი, შაქარი, არაქანი, ჩანგალი

ღრუბ~~ლ~~-
შაქ~~რ~~-
არაქ~~ნ~~-
ჩანგ~~ლ~~- } +იან-ი

ღრუბლიანი, შაქრიანი, არაქნიანი, ჩანგლიანი

უ - ლ

უ + ღრუბ~~ლ~~ + ლ = უღრუბლო
უ + შაქ~~რ~~ + ლ = უშაქრო
უ + არაქ~~ნ~~ + ლ = უარაქნო
უ + ჩანგ~~ლ~~ + ლ = უჩანგლო

-იან	უ-ლ
ღრუბლიანი	უღრუბლო
შაქრიანი	უშაქრო
არაქნიანი	უარაქნო
ჩანგლიანი	უჩანგლო

როცა **ლ** -ს ცვლის **ვ**

ნი~~ლ~~რი — ნი + ვ + რ + იან-ი — უ + ნივრ + ლ
ნიგ~~ლ~~ზი — ნიგ + ვ + ზ + იან-ი — უ + ნიგვზ + ლ
პამიდ~~ლ~~რი — პამიდ + ვ + რ + იან-ი — უ + პამიდვრ + ლ
მაწ~~ლ~~ნი — მაწ + ვ + ნ + იან-ი — უ + მაწვნ + ლ

-იან	უ-ო
ნივრიანი	უნივრო
ნიგვზიანი	უნიგვზო
მაწვნიანი	უმაწვნო
პამიდვრიანი	უპამიდვრო

სავარჯიშო:

1 მოცემულ წინადადებებში ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვით:

1. მარილი

არ მიყვარს მარილიანი საჭმელები.

2. ღრუბელი

უღრუბლო ამინდი იქნება მთელი კვირა.

3. ცხიმი

ეს ხაჭო არის ცხიმიანი და ვერ შევჭამ.

4. ალკოჰოლი

უალკოჰოლო სასმელი დალიე, ნია.

5. ცოლი

ჩემი მამიდაშვილი ბეჟა უცოლოა.

6. ძმარი

ძმრიანი სალათა გნებავთ?

7. აივანი

მარის ბინა არის აივნიანი.

8. შვილი

გიორგის შვილი არ ჰყავს, უშვილოა.

9. ხარისხი

ხარისხიანი ფეხსაცმელი ვიყიდე სავაჭრო ცენტრში.

10. ფასი

ბევრი უფასო ფაკულტეტი არის უნივერსიტეტში.

სადაურობა / წარმომავლობა

ადამიანის წარმომავლობა -ელ, -იდან, -დან სუფიქსები

ტომი არის ინგლისი*იდან*.
ჩემი მეგობარი არის იაპონი*იდან*.
დავითი არის საქართველო*დან*.

ტომი არის ინგლის*ელი*.
ჩემი მეგობარი არის იაპონ*ელი*.
დავითი არის ქართვე*ლი*.

-დან / -იდან — აღნიშნავს ადგილს, საიდან არის ადამიანი, რომელი ქვეყნიდან / ქალაქიდან / სოფლიდან.

-ელ — აღნიშნავს, რომელი ქვეყნის / ქალაქის / კუთხის წარმომადგენელია ადამიანი.
ინგლისი არის ქვეყანა – ინგლისელი ადამიანი, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობს / ამ ქვეყნიდან არის.
-ელ სუფიქსი გვიჩვენებს მხოლოდ ადამიანების წარმომავლობას / სადაურობას.

პროდუქტის, ნივთის წარმომავლობა -ურ, -ულ სუფიქსები

-ურ / -ულ — აღნიშნავს ადამიანის გარდა ყველა სხვა დანარჩენის წარმომავლობას ეს შეიძლება იყოს: პროდუქტი, ნივთი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი...

ეს რაჭ*ელი* ლობიანია.
ჩემი ფეხსაცმელი იტალი*ურ*ია.
მსოფლიოში ცნობილია გერმან*ული* ავტომანქანები.
მიყვარს ჩინ*ური* სამზარეულო.

კითხვები: საიდან? სადაური? რომელი?

საიდან არის დავითი? – დავითი არის საქართველოდან.
სადაურია შენი მეგობარი? – ჩემი მეგობარი იაპონელია.
სადაური ფეხსაცმელი გაცვია? – ჩემი ფეხსაცმელი იტალიურია.
რომელი ქვეყნის სამზარეულო გიყვართ? – მე მიყვარს ჩინური სამზარეულო.

წარმომავლობის ზოგიერთ სახელს **-ელ** სუფიქსი არ დაერთვის:

სწორია: ფრანგი აფხაზი ბელარუსი თურქი მესხი მოხევე ოსი რუსი სვანი სომეხი შვედი ჩეჩენი ხევსური ბერძენი ჩეხი

არასწორია: ფრანგელი აფხაზელი ბელარუსელი თურქელი მესხელი...

-ულ / -ურ სუფიქსებს კი დაერთავს:
ფრანგული, თურქული, მესხური, ოსური, სომხური, შვედური...

გურია

სულიერიც და უსულოც იქნება გურული

გურული ღვებელი

გურული კაცი

2 წინადადებებში გახაზეთ სწორი ფორმა

1. ნანას ქმარი იაპონელია / იაპონურია.
2. კახური / კახელი ჩურჩხელა ძალიან გემრიელია.
3. ამ რესტორნის მენიუში არის მხოლოდ ქალაქური / ქალაქელი ხინკალი.
4. ბერძენი / ბერძნული სალათა მოვამზადე.
5. კავკასიელ / კავკასიურ ხალხს ბევრი ტრადიცია აქვს.
6. სარი არის ინდური / ინდოელი ტანსაცმელი.
7. თეას დედა არის იმერელი / იმერული.
8. 26 სექტემბერი ენების ევროპული / ევროპელი დღეა.
9. ჩვენს უნივერსიტეტში ბევრი ამერიკელი / ამერიკული სტუდენტია.
10. ჩვენთან აზიური / აზიელი სამზარეულო ძალიან პოპულარულია.
11. მოცარტი არის ავსტრიული / ავსტრიელი კომპოზიტორი.
12. აზერბაიჯანელი / აზერბაიჯანული გაზი მრავალ ქვეყანაში გადის.
13. პელე ბრაზილიელი / ბრაზილიური ფეხბურთელია.
14. ბიძაჩემი ქუთაისელი / ქუთაისური მხიარული კაცია.
15. მინდა ფრანგული / ფრანგი ენა ვისწავლო.
16. ჩვენი თურქი / თურქეთელი მეგობრები ხვალ ჩამოვლენ.
17. ეს პროფესორები არიან პოლონეთისგან / პოლონეთიდან.
18. ლიას ქმარი ჩეხი / ჩეხელი ბიზნესმენია.

**დანიშნულების სახელები – სა- ო / სა-ე პრეფიქს-სუფიქსები
(ვილაცისთვის / რალაცისთვის განკუთვნილი)**

**ის, რაც რალაცისთვის ან ვილაცისთვის არის განკუთვნილი.
პრეფიქს-სუფიქსები: სა – ე სა – ო**

- ბანკი** – სა-ბანკ-ო — ის, რაც ბანკისთვის არის განკუთვნილი.
- ცურვა** – სა-ცურა-ო — ცურვისთვის განკუთვნილი ადგილი.
- ახალი წელი** – სა-ახალწლ-ო — ახალი წლისთვის განკუთვნილი.
- ხატაპური** – სა-ხატაპურ-ე — ადგილი, სადაც ხატაპურს აკეთებენ / მიირთმევენ.
- მეფე** – სა-მეფ-ო — მეფისთვის განკუთვნილი, მეფესთან დაკავშირებული.
- ოჯახი** – სა-ოჯახ-ო — ოჯახისთვის განკუთვნილი.
- ფული** – სა-ფულ-ე — ფულისთვის განკუთვნილი, ფულის ჩასადები ნივთი.
- თვალი** – სა-თვალ-ე — თვალისთვის განკუთვნილი, თვალზე გასაკეთებელი საგანი.

სათვალე უნდა გავიკეთო, ისე ვერ ვხედავ.
ემა საბანკო სექტორში მუშაობს.
საცურალ აუზი მუშაობს დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე.
საახალწლო საჩუქრები უნდა ვიყიდო.
მიყვარს ეს სახატაპურე, გემრიელი ხატაპური აქვთ.
მსოფლიოში ცნობილია ინგლისის სამეფო ოჯახი.
საოჯახო ტექნიკის მაღაზია არის აღმაშენებელზე.
ანი, ჩემი სათვალე სად დევს?

სავარჯიშო:

3 ფრჩხილებში მოცემულ სიტყვებს დაურთეთ შესაბამისი პრეფიქს-სუფიქსები (სა-ე / სა-ო):

1. სად არის ეკონომიკის (მინისტრი)
2. ლიას (დაბღვევა) ბარათი ჯერ არ აქვს.
3. მცხეთის (ლობიო) ძალიან ცნობილია.
4. ამერიკის (ელჩი) არის დილომში.
5. წითელი (შაქარი) დევს მაგიდაზე.
6. ბენის (ცოლი) ბანკი მუშაობს.
7. ოქროს (ყური) მარუქა დავითმა.
8. (ბავშვი) გადაცემები ხშირად გადის ტელევიზიით.
9. (ვარჯიში) დარბაზში დავდივარ კვირაში სამჯერ.
10. მარიამ, დატოვეთ თქვენი (კონტაქტი) მონაცემები და დაგიკავშირდებით.

-ში, -ზე თანდებულები

მოქმედების დროის გამოხატვა წელიწადის დროების, თვის დასახელებით

-ში

-ზე

ზამთარში თოვლი მოდის.
ზაფხულში სულ ცხელა.
იანვარში არის ახალი წელი.
ივნისში იქნება გამოცდა.

გაზაფხულზე ჰოლანდიაში მივდივარ.
შემოდგომაზე კახეთში არის რთველი.

ზამთარში, ზაფხულში, მაგრამ გაზაფხულზე, შემოდგომაზე

ადგილის გამოხატვა / ადგილმდებარეობის აღნიშვნა

-ში

-ზე

ადგილის მითითება სივრცეში, შენობაში, ქვეყანაში...

მისამართის დასახელება

-ზე

როცა ზევიდან რალაც არის მოთავსებული

ნანა არის სახლში.
კესო არის ოთახში.
პალტო არის კარადაში.
საჭმელი არის მაცივარში.
ბათუმი არის საქართველოში.

მე მივდივარ კანდელაკის ქუჩაზე.
ნათია ცხოვრობს აბაშიძის ქუჩაზე.


თეფში არის მაგიდაზე.
თაროზე არის წიგნი.

როცა სიტყვა შ-ზე მოთავსდება, **-ში** თანდებულის დამატებისას ორი **შ** დაიწერება.


ბალიშ~~ი~~ + ში = ბალიშში

როცა სიტყვა ზ-ზე მოთავსდება, **-ზე** თანდებულის დამატებისას ორი **ზ** დაიწერება.

ხაზ~~ი~~ + ზე = ხაზზე



-თან თანდებული



როცა სიტყვა **თ**-ზე მთავრდება, **-თან** თანდებულის დამატებისას ორი **თ** დაიწერება.

სურათ~~თ~~ + თან = სურათთან

-დან / -იდან... -მდე / -ამდე თანდებული



როცა სიტყვა **ია**-ზე მთავრდება, **-დან** თანდებულის დამატებისას ორი **ი** დაიწერება.

იტალი~~ა~~ + იდან = იტალიიდან

შესახებ თანდებული

შესახებ

ამბავი ვინმეზე / რაიმეზე

მე თქვენი აზრი მაინტერესებს ამ ბიჭის შესახებ.
რა იცით ამ სკოლის შესახებ?

-თვის თანდებული

-თვის

ობიექტის / ნივთის დანიშნულების გამოხატვა

ეს წერილი ნანასთვისაა.
ეს წიგნი ბატონი დავითისთვის მოვიტანე.
ეს საჩუქარი ნატასთვის ვიყიდე.
ეს რძე კატისთვისაა.
ეს გადასაფარებელი ჩემი საწოლისთვის ვიყიდე.

გამო თანდებული

გამო

მიზეზის გამოხატვა მარტივად

ავადმყოფობის გამო გაკვეთილებზე არ ვიყავი.
დიდი თოვლის გამო ორ სკოლაში სწავლა შეწყდა.
ძლიერი ქარის გამო სადგური დაიკეტა.
გამოცდების გამო ძალიან დაკავებული ვარ.

სავარჯიშო:



1 ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებიდან ჩასვით სწორი ფორმა.

1. (საუბმეზე / საუბმეში / საუბმესთან) გვექნება ჩაი, კვერციხი და ძეხვი.
2. (ეზოში / ეზოზე) იდგა: ორი მერხი და სამი გრძელი სკამი.
3. ჭეკი (ლონდონზე / ლონდონიდან / ლონდონით) თბილისში ჩამოვიდა.
4. სკვირსი ისევ (სკამში / სკამზე) დაჯდა.

5. ნინომ (ძმისთვის / ძმაზე) წიგნი იყიდა.
6. ნიკოლასი (ლუმელთან / ლუმელში) იჭდა.
7. ანამ (ეზოზე / ეზოდან) მამის ხმა გაიგონა.
8. შეჭამ და (ზღვაში / ზღვიდან) იბანავებ.
9. დილის 9 (საათში / საათზე) სამსახურში ვიყავი.
10. მე გადავედი მეოთხე (კურსში / კურსზე).
11. (ფანჯარასთან / ფანჯარაში) ვიდექი და სიგარეტს ვეწეოდი.
12. (სამზარეულოსგან / სამზარეულოდან) გემრიელი საჭმლის სუნი გამოდიოდა.
13. რუსთაველის (ქუჩაში / ქუჩაზე) გავედი.
14. ეს ქალაქი (ტურისტებისთვის / ტურისტებისგან) საინტერესოა.
15. იმ ზაფხულს (სტამბულზე / სტამბულით / სტამბულში) ვიყავით.
16. (სახლისგან / სახლისთვის) ახალი ავეჯი ვიყიდე.
17. (გოგოებთან / გოგოებიდან) ერთად ვისაუბმე.
18. მეორე (ოთახზე / ოთახიდან) ვილაცის ხმა ისმოდა.
19. ბებო (ზაფხულზე / ზაფხულში) მიდიოდა კახეთში.
20. გოგოები შაბათ-კვირას (კინოში / კინოზე) მიდიან.
21. გიორგი (მშობლებში / მშობლებთან) ერთად ცხოვრობს.
22. მეგობრები (მაგიდაზე / მაგიდასთან / მაგიდაში) ისხდნენ და ყავას სვამდნენ.
23. (იანვარზე / იანვარში) ბევრი დღესასწაულია.
24. (ავსტრალიიდან / ავსტრალიაზე / ავსტრალიიდან) სტუმრები ჩამოვიდნენ.
25. (მთამდე / მთასთან / მთიდან) პირდაპირ ზღვაში ჩადიხარ.
26. ორი საათიდან სამ (საათამდე / საათიდან / საათზე) სახლს დავალაგებ.
27. საკრედიტო (ბარათთან / ბარათთან / ბარათზე) დაკავშირებით კრედიტოფიცერს დაელაპარაკეთ.
28. ემილი (ავტობუსში / ავტობუსზე) მეგობრების დახმარებით ავიდა.
29. ეკა (სახლიდან / სახლისგან) გადის დილის რვა საათზე.
30. (მისთვის / მასზე / მასში) დიდი სიამოვნებაა გემით მოგზაურობა.

ადგილმდებარეობის გამოხატვა

აქ; იქ; ზევით; წინ; უკან; გვერდით; ქვემოთ...



აქ – ჩემთან ახლოს

იქ – ჩემგან შორს



წინ — ვინმეს ან რაიმეს პირდაპირ ყოფნა / დგომა

უკან — ზურგის მხარეს

გვერდით — ერთ რომელიმე მხარეს ყოფნა

ქვემოთ — რაიმე ადგილიდან დაბლა

ზემოთ — რაიმე ადგილიდან მაღლა

აქ მოდი, ანა!

აქ არის ჩემი სკოლა.

ჩემი სახლის წინ არის სილამაზის სალონი.

სკოლის გვერდით არის სუპერმარკეტი.

გიორგის უკან დგას ლევანი.

თათა დავითის წინ დგას.

მე ვცხოვრობ მესამე სართულზე, ზემოთ, მეოთხე სართულზე ცხოვრობს ლილი, ქვემოთ, მეორე სართულზე ცხოვრობს ჭონი.

წინ მიუთითებს ასევე დროზე
ორი დღის წინ, სამი კვირის წინ, ხუთი წლის წინ

დროის მითითება

დროის მითითება ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვებით

წლის და რიცხვის მითითებით ზუსტი თარიღის დასახელებისას.

დღეს არის 2014 წლის 3 იანვარი.

როცა კონკრეტულ დროს ხდება მოქმედება ან მოვლენა.

გიორგი დაიბადა 2000 წლის 13 სექტემბერს.

კონკრეტული თარიღის გარეშე

2020 წელს ახალ მანქანას ვიყიდი.
ორშაბათს მოვალ შენთან.
ხუთშაბათს წავალ თეატრში.

1999 წელი მნიშვნელოვანია ჩვენი ოჯახისთვის.
ათას ცხრაას ოთხმოცდაათი წელი მნიშვნელოვანია ჩვენი ოჯახისთვის.
1999 წლის 10 აგვისტოს დაიბადა ჩემი უმცროსი და.
ათას ცხრაას ოთხმოცდაათი წლის ათ აგვისტოს დაიბადა ჩემი უმცროსი და.
1999 წელს, 10 აგვისტოს, დაიბადა ჩემი უმცროსი და.
ათას ცხრაას ოთხმოცდაათი წელს, ათ აგვისტოს, დაიბადა ჩემი უმცროსი და.


**ახლა არის 2019 წელი.
დღეს არის ორშაბათი.
ხვალ არის ხუთშაბათი.**

დროის მითითება საათის დაზუსტებით

რვა საათია 8:00 — სახელობითი ბრუნვა

რვის ხუთი წუთია 7:05
რვის ოცი წუთია 7:20
რვის ნახევარია 7:30


ნათესაობითი ბრუნვა



ნახევრის / 30 წუთის შემდეგ

რვას აკლია ხუთი წუთი 7:55
რვას აკლია თხუთმეტი წუთი 7:45
რვას აკლია ათი წუთი 7:50

მიცემითი ბრუნვა



რომელი საათია?

სამს აკლია ხუთი წუთი.
სამის თხუთმეტი წუთია.
სამო საათია.

-ზე და -ში თანდებულები დროის გამოსახატავად

- სამ საათზე მოვალ.
- სამის ოც წუთზე მოვალ.
- სამის ნახევარზე მოვალ.
- სამს რომ ხუთი დააკლდება, მოვალ.
- სამ საათში მოვალ.

სავარჯიშო:

1 უბასუხეთ კითხვებს:

1. როდის დაიბადეთ?
2. სკოლაში როდის შეხვედით?
3. როდის არის თქვენი მშობლების დაბადების დღე?
4. რომელ წელს დაამთავრეთ სკოლა?
5. რომელ საათზე დგებით დილით?
6. წელიწადის რომელ დროს მიდიხართ დასასვენებლად?

2 ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დაწერეთ სწორი ფორმით:

1. დაჩი სტომატოლოგთან (სამშაბათი) იყო.
2. მეგობრები შევხვდებით (კვირა, 7:30) კლუბში.
3. (ბაფხული) ზღვაზე წავალ.
4. (პარასკევი, 10 დეკემბერი) ლიზა მოხსენებას კითხულობს.
5. ნინი, პირველი ლექცია მთავრდება (10: 45) და შევხვდეთ კაფეში.
6. თეა დაიბადა (2012 წელი, 4 ივნისი)
7. ახალი წელი არის (1 იანვარი)
8. (გაზაფხული) ხშირად წვიმს.

3 მითითებული დრო დაწერეთ სიტყვიერად და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

1. 9 : 45
2. 11 : 30
3. 6 : 15
4. 4 : 55
5. 12 : 10
6. 3 : 05
7. 8 : 40
8. 14 : 35

1 – ერთი უნდა ვთქვათ და დავწეროთ – პირველი საათი; 1-ლი საათი.

ღროის მითითება: დღე, თვე, წელიწადის დრო

გაზაფხულ~~ი~~ } + -ზე
შემოდგომა

ზაფხულ~~ი~~ } + -ში
ზამთარ~~ი~~

გაზაფხულზე წავალ პარიზში.

ზამთარში მაქვს უნივერსიტეტის გამოცდები.

ზაფხულში ნიკი ჩამოვა ამერიკიდან.

შემოდგომაზე კახეთში არის რთველი.

იანვარ~~ი~~ }
თებერვალ~~ი~~ }
მარტ~~ი~~ }
აპრილ~~ი~~ }
მაის~~ი~~ } + -ში
ივნის~~ი~~ }
ივლის~~ი~~ }
აგვისტო
სექტემბერ~~ი~~
ოქტომბერ~~ი~~
ნოემბერ~~ი~~
დეკემბერ~~ი~~

იანვარში წავალ პარიზში.

სექტემბერში ნინო სკოლაში მიდის.

რა დღეა?

დღეს **ხუთშაბათია**, ბანკში მივდივარ.

დღეს არის **3 ივნისი**, ნინოს დაბადების დღე.

როდის?

როდის გაქვს კონცერტი? – ხვალ, სამ ნოემბერს.

როდის დაიბადა ნიტა? – ნიტა დაიბადა 2008 წლის 24 მაისს.

მე შვიდ საათზე ვიქნები სახლში, შენ როდის მოხვალ? – რვის ნახევარზე მოვალ.

როდის მთავრდება პირველი სემესტრი? – ზამთარში, იანვარში.

როდის მიდის კატო დასასვენებლად? – შემოდგომაზე, სექტემბერში.

დროის მითითება დროის გამოხატველი სიტყვებით

როდის?

დღეს, ხვალ, ზევ, გუშინ, გუშინწინ, წელს, შარშან, მომავალ წელს, დილას, შუადღეს, საღამოს

დილით / სამშაბათს დილით
საღამოს / სამშაბათს საღამოს
ღამით / სამშაბათს ღამით
თვის დასაწყისში / ბოლოს
დღის დასაწყისში / ბოლოს
წლის დასაწყისში / ბოლოს
კვირის დასაწყისში / ბოლოს

სამშაბათს დილით მამა დუბაიში მიდის.
თვის დასაწყისში ტრენინგები იწყება.
წლის ბოლოს ყველა დატოლილია და დასვენება უნდა.
შარშან ვიყიდე ეს თეთრი პიჯაკი და ძალიან მომწონს.
ზევ ინტერვიუ მაქვს ცნობილ მწერალთან.

რამდენ ხანში? რა დროში?

ორ წუთში, სამ საათში,
ხუთ დღეში, რვა თვეში,
ერთ წელში, ცოტა ხანში

სამი წლის შემდეგ / მერე, სამი წლის წინ

სამ საათში ჩავალთ ქუთაისში.
ხუთ დღეში შევიღებავ თმას.
ცოტა ხანში დაგურეკავ ექიმს.
სამი წლის შემდეგ ვნახე ჩემი მეგობარი.
სამი წლის წინ ვიყავი ფლორენციაში.

რამდენი ხნით?

ორი წუთით, სამი საათით, ხუთ დღით,
რვა თვით, ერთი წლით, ცოტა ხანით, დიდი ხნით

ორი წუთით შევალ ბანკში.
რვა თვით დავრჩები სოფელში.
დიდი ხნით არის ჩამოსული ჭკვი თბილისში?



დროის მითითება -იდან... -მდე თანდებულებით

ორი საათიდან ხუთ საათამდე მუსიკის გაკვეთილი მაქვს.
ხვალ დილიდან სალამომდე არ მცალია და ვერ გნახავ, დავით.
ეს სახლი 2000 წლიდან შენდება.
ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე ვისვენებთ.
2 ნოემბრამდე ლონდონში დავრჩები

დროის მითითება განმავლობაში სიტყვის გამოყენებით

სამი საათის განმავლობაში მუსიკის გაკვეთილი მაქვს.
ოთხი თვის განმავლობაში ვისვენებთ.
ხვალ მთელი დღის განმავლობაში არ მცალია და ვერ გნახავ.

პარგად / ცუდად / ნელა / სწრაფად / ჩქარა / უკეთ
 ან ძალიან + პარგად / ცუდად / ნელა / სწრაფად / ჩქარა / უკეთ

როგორ ხდება მოქმედება

ეს მატარებელი **სწრაფად** დადის.
 გვანცა **კარგად** მღერის.
 ის ბიჭი **ცუდად** ხატავს.
 გიორგი **ძალიან ნელა** წერს.
 ეს ავტობუსი **ძალიან ჩქარა** დადის.
 ეკა **ძალიან კარგად** სწავლობს.

ხდება მოქმედების შეფასება:
 კარგად / ცუდად / ნელა /
 სწრაფად / ჩქარა / უკეთ
 ან ძალიან + კარგად / ცუდად /
 ნელა / სწრაფად / ჩქარა / უკეთ

რა სიხშირით ხდება მოქმედება

**ზოგჯერ, ხშირად,
 იშვიათად**

ზოგჯერ ვნახულობ ჩემს
 კლასელებს.
 ჩემს მეგობრებს **ხშირად**
 ვნახულობ.
 ჩემს კურსელებს
იშვიათად ვნახულობ.

**განმეორებით:
 არსებითი სახელი + ობიექტი**

დილაობით დავრბივარ
 სტადიონზე.
ზაფხულობით ყოველთვის
 ზღვაზე მივდივართ.
სალამლობით პარკში
 ვსეირნობ.


**განმეორებით:
 რიცხვითი სახელი + ჯერ**

ნაია ლექციები კვირაში **ხუთჯერ** აქვს.
 მე დღეში **ოთხჯერ** ვჭამ.
 ის წელიწადში **ორჯერ** მიდის სოფელში.

მაქვს, მყავს


მე **მყავს** ახალგაზრდა ბიძა.
 ჩვენ **გვყავს** პატარა ძაღლი.
 დალი, შენ **გყავს** ქათმები სოფელში?
 ანა და დავით, თქვენ **გყავთ** ინგლისელი მეგობარი?
 მას **ჰყავს** უფროსი ძმა.
 მათ **ჰყავთ** ბიძაშვილები გერმანიაში.

მე **მაქვს** ვარდისფერი ოთახი.
 ჩვენ **გვაქვს** კომფორტული ბინა.
 შენ **გაქვს** ლამაზი კაბა.
 თქვენ **გაქვთ** ძვირფასი ავეჯი.
 მას **აქვს** თეთრი მაისური.
 მათ **აქვთ** დიდი სამზარეულო.




სულიერი

ადამიანი, ცხოველი, ფრინველი...



უსულო საგნები



მყავს + გადაადგილების საშუალებები

მანქანა	}	მყავს	გყავს
გემი		ჰყავს	გვყავს
თვითმფრინავი		ჰყავთ	გყავთ
ველოსიპედი...			

სავარჯიშო:

1 გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: მაქვს, გაქვს, აქვს, გვაქვს, გაქვთ, აქვთ, მყავს, გყავს, ჰყავს, გვყავს, გყავთ, ჰყავთ.

1. დედას ლურჯი ფეხსაცმელი
2. ანა, შენ რამდენი კატა ?
3. პაატას მერსედესის მარკის მანქანა
4. ბიბლიოთეკაში ბევრი წიგნი
5. ქეთი და ლევანი ცხოვრობენ ხუთოთახიან ბინაში. მათ დიდი სამზარეულო.
6. ხვალ ისტორიაში საინტერესო გაკვეთილი
7. ანის და ბექას სამი შვილი
8. დიტო და ალექსი მეზღვაურები არიან. მათ საკუთარი გემი
9. ლია, დღეს რა სადილად?
10. მე ბედნიერი ადამიანი ვარ, კარგი მეგობრები
11. სოფო, შენ და შენს ძმას ახალი ველოსიპედები ?
12. ჩვენ სოფელში : ქათმები, ერთი ღორი და ერთი ძროხა.
13. ნია, რა ლამაზი სათვალე, სად იყიდე?
14. თამარ, რამდენი მოსწავლე მეშვიდე კლასში?
15. მე და ჩემს ძმას ორი დეიდა და ერთი ბიძა.

გმნა და რიცხვი (მხოლოებითი და მრავლობითი)

გმნა + პირის ნაცვალსახელები


		მხოლოებითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
		პირი	ნაცვალსახელი	გმნა	ნაცვალსახელი
ახლანდელი დრო	I	მე	ვ-წერ	ჩვენ	ვ-წერ-თ
	II	შენ	წერ	თქვენ	წერთ
	III	ის	წერ-ს	ისინი	წერ-ენ
წარსული დრო	I	მე	და-ვ-წერე	ჩვენ	და-ვ-წერე-თ
	II	შენ	და-წერე	თქვენ	და-წერე-თ
	III	მან	და-წერ-ა	მათ	და-წერ-ეს
მომავალი დრო	I	მე	და-ვ-წერ	ჩვენ	და-ვ-წერ-თ
	II	შენ	და-წერ	თქვენ	და-წერ-თ
	III	ის	და-წერ-ს	ისინი	და-წერ-ენ

		მხოლოებითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
		პირი	ნაცვალსახელი	გმნა	ნაცვალსახელი
ახლანდელი დრო	I	მე	ვ-ყიდულობ	ჩვენ	ვ-ყიდულობ-თ
	II	შენ	ყიდულობ	თქვენ	ყიდულობ-თ
	III	ის	ყიდულობ-ს	ისინი	ყიდულობ-ენ
წარსული დრო	I	მე	ვ-იყიდე	ჩვენ	ვ-იყიდე-თ
	II	შენ	იყიდე	თქვენ	იყიდე-თ
	III	მან	იყიდ-ა	მათ	იყიდ-ეს
მომავალი დრო	I	მე	ვ-იყიდი	ჩვენ	ვ-იყიდი-თ
	II	შენ	იყიდი	თქვენ	იყიდი-თ
	III	ის	იყიდი-ს	ისინი	იყიდი-ან

ახლანდელი დრო	მხოლოებითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი		
	პირი	ნაცვალსახელი	ზმნა	ნაცვალსახელი	ზმნა
I	მე	ვ-ფიქრობ	ჩვენ	ვ-ფიქრობ-თ	
II	შენ	ფიქრობ	თქვენ	ფიქრობ-თ	
III	ის	ფიქრობ-ს	ისინი	ფიქრობ-ენ	
წარსული დრო	I	მე	ვ-იფიქრე	ჩვენ	ვ-იფიქრე-თ
	II	შენ	იფიქრე	თქვენ	იფიქრე-თ
	III	მან	იფიქრ-ა	მათ	იფიქრ-ეს
მომავალი დრო	I	მე	ვ-იფიქრებ	ჩვენ	ვ-იფიქრებ-თ
	II	შენ	იფიქრებ	თქვენ	იფიქრებ-თ
	III	ის	იფიქრებ-ს	ისინი	იფიქრებ-ენ

ზმნა და დრო

დროის განსაზღვრა სიტყვებით: ახლა, გუშინ, ხვალ...



დრო	ახლანდელი (ახლა, ამ წუთას)		წარსული (გუშინ, ორი დღის წინ, გუშინწინ, სამი წლის წინ...)		მომავალი (ხვალ, ზევ, სამი დღის შემდეგ, ორი წლის შემდეგ...)	
პირი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	მე ვ ყიდულობ წიგნს	ჩვენ ვ ყიდულობთ წიგნი	მე ვ იყიდე წიგნი	ჩვენ ვ იყიდეთ წიგნს	მე ვ იყიდი წიგნს	ჩვენ ვ იყიდი წიგნს
II	შენ ყიდულობ წიგნს	თქვენ ყიდულობთ წიგნს	შენ იყიდე წიგნი	თქვენ იყიდეთ წიგნი	შენ იყიდი წიგნს	თქვენ იყიდი წიგნს
III	ის ყიდულობს წიგნს	ისინი ყიდულობენ წიგნს	მან იყიდა წიგნი	მათ იყიდეს წიგნი	ის იყიდის წიგნს	ისინი იყიდინან წიგნს
პირი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	მე ვ წერ წერილს	ჩვენ ვ წერთ წერილს	მე და ვ წერე წერილი	ჩვენ და ვ წერეთ წერილი	მე და ვ წერ წერილს	ჩვენ და ვ წერ წერილს
II	შენ წერ წერილს	თქვენ წერთ წერილს	შენ დაწერე წერილი	თქვენ დაწერეთ წერილი	შენ დაწერ წერილს	თქვენ დაწერ წერილს
III	ის წერს წერილს	ისინი წერენ წერილს	მან დაწერა წერილი	მათ დაწერეს წერილი	თქვენ დაწერთ წერილს	ისინი დაწერენ წერილს
პირი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	მე ვ ფიქრობ	ჩვენ ვ ფიქრობთ	მე ვ ფიქრობდი	ჩვენ ვ ფიქრეთ	მე ვ ფიქრებ	ჩვენ ვ ფიქრებთ
II	შენ ფიქრობ	თქვენ ფიქრობთ	შენ ფიქრობდი	თქვენ ფიქრეთ	შენ ფიქრებ	თქვენ ფიქრებთ
III	ის ფიქრობს	ისინი ფიქრობენ	მან იფიქრა	მათ იფიქრეს	ის იფიქრებს	ისინი იფიქრებენ

წარსული დრო (კითხვა რა ქნა?) და მესამე პირის ნაცვალსახელი:

მხოლოდობით

ის ~~დაწერა~~
 ის ~~იფიქრა~~
 ის ~~იყიდა~~

მან დაწერა
 მან იფიქრა
 მან იყიდა

მრავლობით

ისინი ~~დაწერა~~
 ისინი ~~იფიქრეს~~
 ისინი ~~იყიდეს~~

მათ დაწერეს
 მათ იფიქრეს
 მათ იყიდეს

წარსულ დროში მესამე პირის ნაცვალსახელები – ის, ისინი – მხოლოდობით ბრუნვაში იცვლება ნაცვალსახელებით – მან, მათ

წარსული დრო (კითხვა რა ქნა?) და არსებითი სახელი:

მხოლოდითი

~~ბავშვი დანერა~~
~~ბავშვი იფიქრა~~
~~ბავშვი იყიდა~~

ბავშვ-მა დანერა
 ბავშვ-მა იფიქრა
 ბავშვ-მა იყიდა

მრავლობითი

~~ბავშვები დანერა~~
~~ბავშვები იფიქრეს~~
~~ბავშვები იყიდეს~~

ბავშვებ-მა დანერეს
 ბავშვებ-მა იფიქრეს
 ბავშვებ-მა იყიდეს

ბავშვ-მა, ბავშვებ-მა – წარსულ დროში არსებითი სახელი მოთხრობით ბრუნვაშია.

სუბიექტი (S) და ობიექტი (O)

სუბიექტი (S)

I კირი

მხოლოდითი რიცხვი

მე (S)

მე ვყიდულობ წიგნს.	ვ-ყიდულობ	}	3-
მე ვიყიდე წიგნი.	ვ-იყიდე		
მე ვიყიდი წიგნს.	ვ-იყიდი		
მე ვწერ წერილს.	ვ-წერ	}	3-
მე დავწერე წერილი.	და-ვ-წერე		
მე დავწერ წერილს.	და-ვ-წერ		
მე ვფიქრობ .	ვ-ფიქრობ	}	3-
მე ვფიქრობდი .	ვ-ფიქრობდი		
მე ვიფიქრებ .	ვ-იფიქრებ		

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ (S)

ჩვენ ვყიდულობთ წიგნს.	ვ-ყიდულობ-თ	}	3-თ
ჩვენ ვიყიდეთ წიგნი.	ვ-იყიდეთ		
ჩვენ ვიყიდით წიგნს.	ვ-იყიდით		
ჩვენ ვწერთ წერილს.	ვ-წერ-თ	}	3-თ
ჩვენ დავწერეთ წერილი.	და-ვ-წერეთ		
ჩვენ დავწერთ წერილს.	და-ვ-წერ-თ		
ჩვენ ვფიქრობთ .	ვ-ფიქრობ-თ	}	3-თ
ჩვენ ვფიქრობდით .	ვ-ფიქრობდით		
ჩვენ ვიფიქრებთ .	ვ-იფიქრებ-თ		

თუ ზმნა **გ** თანხმოდგენით იწყება, მაშინ **I (S)** პირთან (მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვი) ამ ზმნაში ორი **გ** დაიწერება.

მაგალითად: ის (S) ვარჯიშობს – მე (S) ვ-ვარჯიშობ / ჩვენ (S) ვ-ვარჯიშობთ
 ის (S) ვახშობს – მე (S) ვ-ვახშობ / ჩვენ (S) ვ-ვახშობთ

II პირი

მხოლოდითი რიცხვი

შენ (S)

შენ ყიდულობ წიგნს.	ყიდულობ	}	-ბ
შენ იყიდე წიგნი.	იყიდე		
შენ იყიდი წიგნს.	იყიდი		
შენ წერ წერილს.	წერ	}	-ბ
შენ დაწერე წერილი.	დაწერე		
შენ დაწერ წერილს.	დაწერ		
შენ ფიქრობ .	ფიქრობ	}	-ბ
შენ იფიქრე .	იფიქრე		
შენ იფიქრებ .	იფიქრებ		

მრავლობითი რიცხვი

თქვენ (S)

თქვენ ყიდულობთ წიგნს.	ყიდულობ-თ	}	-თ
თქვენ იყიდეთ წიგნი.	იყიდე-თ		
თქვენ იყიდით წიგნს.	იყიდი-თ		
თქვენ წერთ წერილს.	წერ-თ	}	-თ
თქვენ დაწერეთ წერილი.	დაწერე-თ		
თქვენ დაწერთ წერილს.	დაწერ-თ		
თქვენ ფიქრობთ .	ფიქრობ-თ	}	-თ
თქვენ იფიქრეთ .	იფიქრე-თ		
თქვენ იფიქრებთ .	იფიქრებ-თ		

III პირი

მხოლოებითი რიცხვი

ის / მან (S)

ის **ყიდულობს** წიგნს.
მან იყიდა წიგნი.
 ის **იყიდის** წიგნს.

ყიდულობ-ს
 იყიდ-ა
 იყიდი-ს

} -ს
 } -ა

ის **წერს** წერილს.
მან დაწერა წერილი.
 ის **დაწერს** წერილს.

წერ-ს
 დაწერ-ა
 დაწერ-ს

} -ს
 } -ა

ის **ფიქრობს**.
მან იფიქრა.
 ის **იფიქრებს**.

ფიქრობ-ს
 იფიქრ-ა
 იფიქრებ-ს

} -ს
 } -ა

მრავლობითი რიცხვი

ისინი / მათ (S)

ისინი **ყიდულობენ** წიგნს.
მათ იყიდეს წიგნი.
 ისინი **იყიდიან** წიგნს.

ყიდულობ-ენ
 იყიდ-ეს
 იყიდი-ან

} -ენ
 } -ეს
 } -ან

ისინი **წერენ** წერილს.
მათ დაწერეს წერილი.
 ისინი **დაწერენ** წერილს.






წერ-ენ
 დაწერ-ეს
 დაწერ-ენ

} -ენ
 } -ეს
 } -ენ

ისინი **ფიქრობენ**.
მათ იფიქრეს.
 ისინი **იფიქრებენ**.

ფიქრობ-ენ
 იფიქრ-ეს
 იფიქრებ-ენ

} -ენ
 } -ეს
 } -ენ



ობიექტი (O)

I პირი

მხოლოებითი რიცხვი

მე (O)

მწერს გიორგი წერილს. მომწერა გიორგიმ წერილი. მომწერს გიორგი წერილს.	მ-მწერს ის მე მას მო-მ-წერა მან მე ის მო-მ-მწერს ის მე მას	} მ-
მილაგებს დედა ოთახს. დამილაგა დედამ ოთახი. დამილაგებს დედა ოთახს.	მ-ილაგებს ის მე მას და-მ-ილაგა მან მე ის და-მ-ილაგებს ის მე მას	} მ-

თუ ზმნა მ თანხმოვნით იწყება, მაშინ I (O) პირთან (მხოლოებითი რიცხვი) ამ ზმნაში ორი მ დაიწერება.

მაგალითად: მართავს ის (S) მას (O) – მ-მართავს ის (S) მე (O)
მაღავს ის (S) მას (O) – მ-მაღავს ის (S) მე (O)

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ (O)

გვწერენ მეგობრები წერილს. მოგვწერეს მეგობრებმა წერილი. მოგვწერენ მეგობრები წერილს.	გვ-წერენ ისინი ჩვენ მას მო-გვ-წერეს მათ ჩვენ ის მო-გვ-წერენ ისინი ჩვენ მას	} გვ-
გვილაგებენ დები ოთახს. დაგვილაგეს დებმა ოთახი. დაგვილაგებენ დები ოთახს.	გვ-ილაგებენ ისინი ჩვენ მას და-გვ-ილაგეს მათ ჩვენ ის და-გვ-ილაგებენ ისინი ჩვენ მას	} გვ-

II პირი

მხოლოებითი რიცხვი

შენ (O)

გწერს გიორგი წერილს. მოგწერა გიორგიმ წერილი. მოგწერს გიორგი წერილს.	გ-წერს ის შენ მას მო-გ-წერა მან შენ ის მო-გ-წერს ის შენ მას	} გ-
გილაგებს დედა შენ ოთახს. დაგილაგა დედამ შენ ოთახი. დაგილაგებს დედა შენ ოთახს.	გ-ილაგებს ის შენ მას და-გ-ილაგა მან შენ ის და-გ-ილაგებს ის შენ მას	} გ-

მრავლობითი რიცხვი

თქვენ (O)

გწერენ მეგობრები თქვენ წერილს.
მოგწერეს მეგობრებმა თქვენ წერილი.
მოგწერენ მეგობრები თქვენ წერილს.

გ-წერენ ის **თქვენ** მას
მო-გ-წერეს მან **თქვენ** ის
მო-გ-წერენ ის **თქვენ** მას

} გ-

გილაგებენ დები ოთახს.
დაგილაგეს დებმა ოთახი.
დაგილაგებენ დები ოთახს.

გ-ილაგებენ ის **თქვენ** მას
და-გ-ილაგეს მან **თქვენ** ის
და-გ-ილაგებენ ის **თქვენ** მას

} გ-

თუ ზმნა იწყება **გ** თანხმოვნით, მაშინ II (O) პირთან (მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვი) ამ ზმნაში ორი **გ** დაიწერება.

მაგალითად: ჰ-გონია ის (S) მას (O) – გ-გონია ის (S) შენ (O)
ჰ-გავს ის (S) მას (O) – გ-გავს ის (S) შენ (O)

III პირი

მხოლოდითი რიცხვი

ის / მან (O)

სწერს გიორგი წერილს მარის.
მისწერა გიორგიმ წერილი მარის.
მისწერს გიორგი წერილს მარის.

ს-წერს ის **მას მას**
მი-ს-წერა მან **მას ის**
მი-ს-წერს ის **მას მას**

} ს-

გიორგის **ჰყავს** მანქანა.
გიორგის **ჰყავდა** მანქანა.
გიორგის **ეყოლება** მანქანა.

ჰ-ყავს მას **ის**
ჰ-ყავდა მას **ის**
ეყოლება მას **ის**

} ჰ-

ულაგებს დედა ნინას ოთახს.
დაულაგა დედამ ნინას ოთახი.
დაულაგებს დედა ნინას ოთახს.

ულაგებს ის **მას მას**
დაულაგა მან **მას ის**
დაულაგებს ის **მას მას**

} დ-

მრავლობითი რიცხვი

ისინი / მათ (O)

სწერენ მეგობრები წერილს მარის და თამარს.
მისწერეს მეგობრებმა წერილი მარის და თამარს.
მისწერენ მეგობრები წერილს მარის და თამარს.


ს-წერენ ისინი მათ მას }
 მი-ს-წერეს მათ მათ ის } ს-
 მი-ს-წერენ ისინი მათ მას }

გიორგის და ლიკას **ჰყავთ** მანქანა.
 გიორგის და ლიკას **ჰყავდათ** მანქანა.
 გიორგის და ლიკას **ეყოლებათ** მანქანა.


ჰ-ყავ-თ მათ ის }
 ჰ-ყავდა-თ მათ ის } ჰ-თ
 ეყოლება-თ მათ ის }

ჰ- იწერება ზმნებთან: ჰყავს, მოჰყავს, მიჰყავს, დაჰყავს, ჰქონდა, ჰგონია, ჰგავს, ჰქვია, ჰკითხა...

ს- იწერება ზმნებთან: სთხოვა, მისცა, სწერს (ის მას მას), სძინავს, სძულს, სწამს, სწყურია, სცივა, სწყინს...



ს / ჰ- არასოდეს არ უნდა დაგწეროთ ზმნებთან: დგას, ჩანს, ქრის, ტირის, ქსოვს... არასოდეს არ იწერება **ს-** ზმნასთან თქვა (~~და არა სთქვა~~)



ვარ, ხარ, არის – ზმნის წარსულისა და მომავლის ფორმები

წარსული დრო: ვიყავი, იყავი, იყო

მომავალი დრო: ვიქნები, იქნები, იქნება

მხოლოდობით

ახლანდელი დრო		წარსული დრო		მომავალი დრო	
მე	ვარ	მე	ვიყავი	მე	ვიქნები
შენ	ხარ	შენ	იყავი	შენ	იქნები
ის	არის	ის	იყო	ის	იქნება

მრავლობითი

ახლანდელი დრო		წარსული დრო		მომავალი დრო	
ჩვენ	ვართ	ჩვენ	ვიყავით	ჩვენ	ვიქნებით
თქვენ	ხართ	თქვენ	იყავით	თქვენ	იქნებით
ისინი	არიან	ისინი	იყვნენ	ისინი	იქნებიან

მე ახლა სახლში **ვარ**, ჯერ ვერ მოვალ შენთან.
მე ტელევიზიაში **ვარ** და მალე მოვალ.

ლიკა, ჩვენ კაფეში **ვართ** და აქ მოდი.
გურამ, ჩვენ ბანკში **ვართ**, სესხი უნდა ავიღოთ.

გუშინ თეატრში **ვიყავი**.
ორი წლის წინ **ვიყავი** საფრანგეთში.

მეგობრები გუშინ კლუბში **ვიყავით**.
მე და ჩემი თანამშრომლები ბაფხულში შვებულებაში **ვიყავით**.

მე ხვალ **ვიქნები** კახეთში.
ერთი კვირის მერე აღარ **ვიქნები** აქ.

სამ საათში სოფელში **ვიქნებით**.
დედა, რამდენი ხანი **ვიქნებით** აუზზე? – ორი საათი.

მხოლოდობით	მრავლობითი	მხოლოდობით	მრავლობითი	მხოლოდობით	მრავლობითი
მე	ჩვენ	მე	ჩვენ	მე	ჩვენ
ვარ	ვართ	ვიყავი	ვიყავით	ვიქნები	ვიქნებით
ახლანდელი დრო		წარსული დრო		მომავალი დრო	

ჯორჯ, შენ სად ხარ? – უნივერსიტეტში.
 ქეთი, სუპერმარკეტში ხარ თუ ბაზარში? – სუპერმარკეტში.
 კატო და ანი, თქვენ ოფისში ხართ? – კი აქ ვართ, მერი.
 ლისის ტბაზე ხართ, ედვარდ? – არა, კუს ტბაზე წავიდით.

შაბათ-კვირას სად იყავი, დავით?
 გუშინ იყავი ბოტანიკურ ბაღში?
 თეა და მიკა, ერთად იყავით გუშინ თეატრში?
 შენ და დედა სახლში იყავით?

ლეო, როდის იქნები პარიზში, რომ გნახო?
 ვიკა, ორ საათში იქნები კაფეში?

რომელ საათზე იქნებით ხვალ სახლში? – ხუთ საათზე.

მხოლოებითი	მრავლობითი	მხოლოებითი	მრავლობითი	მხოლოებითი	მრავლობითი
შენ ხარ	თქვენ ხართ	შენ იყავი	თქვენ იყავით	შენ იქნები	თქვენ იქნებით
ახლანდელი დრო		წარსული დრო		მომავალი დრო	

ჯონი ინგლისში არის.
 თეატრი არის მარჯანიშვილის ქუჩაზე.

ბები და ბაბუა სოფელში არიან.
 მსახიობები აქ არიან?

გიორგი გუშინ სკოლაში იყო?
 შარშან დიდი თოვლი იყო ბაკურიანში.

ჩემი მამიდაშვილები იანვარში ლონდონში იყვნენ.
 სტუდენტები ამერიკაში იყვნენ.

ხვალ რუსთაველის თეატრში საინტერესო სპექტაკლი იქნება და წავიდეთ.
 ელი ორ კვირაში გერმანიაში იქნება, ძალიან მიხარია.

უცხოელი სტუმრები სამ დღეში თბილისში იქნებიან.
 ლელა, ხვალ წავალთ ზოოპარკში, იქ იქნებიან ცხოველები და ნახავ.

მხოლოებითი	მრავლობითი	მხოლოებითი	მრავლობითი	მხოლოებითი	მრავლობითი
ის არის	ისინი არიან	ის იყო	ისინი იყვნენ	ის იქნება	ისინი იქნებიან
ახლანდელი დრო		წარსული დრო		მომავალი დრო	

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + ვართ / ხართ / არიან

ახლანდელი დრო

I პირი

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + ვართ (მრავლობითი)
აქ სამი სტუდენტი ვართ.

II პირი

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + ხართ (მრავლობითი)
აქ სამი სტუდენტი ხართ.

III პირი

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + არის (მხოლოდობითი)
აქ სამი სტუდენტი არის.

წარსული დრო

I პირი

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + ვიყავით (მრავლობითი)
იქ სამი სტუდენტი ვიყავით.

II პირი

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + იყავით (მრავლობითი)
იქ სამი სტუდენტი იყავით.

III პირი

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + იყო (მხოლოდობითი)
იქ სამი სტუდენტი იყო.

მომავალი დრო

I პირი

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + ვიქნებით (მრავლობითი)

იქ სამი სტუდენტი ვიქნებით.

II პირი

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + იქნებით (მრავლობითი)



იქ სამი სტუდენტი იქნებით.

III პირი

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + იქნება (მხოლოდ ერთი)

იქ სამი სტუდენტი იქნება.

სახელი + ზმნა



ხალხი (ადამიანები)
და-ძმა (და და ძმა)
დედ-მამა (დედა და მამა)

მიდის / ~~მიდიან~~
მიდის / ~~მიდიან~~
მიდის / ~~მიდიან~~

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი + ზმნა

ორი	ბავშვი	მიდის / მიდიან
რამდენიმე	სტუდენტი	მღერის / მღერიან
სამი	ძალლი	მირბის / მირბიან
ბევრი	მაგიდა	დგას / დგანან

ხუთი ბიჭი მოედანზე დარბის.
 ბევრი ადამიანი იყო კინოფესტივალზე.
 ეზოში რამდენიმე სკამი იდგა.

ზოგიერთი ზმნა

ამბობს						
დრო	აწმყო (ახლა, ამ წუთას)		წარსული (გუშინ, ორი დღის წინ, გუშინწინ, სამი წლის წინ...)		მომავალი (ხვალ, ზევ, სამი დღის შემდეგ, ორი წლის შემდეგ...)	
